



7 თებერვალი, 2019



ოთხშაბათი, №1 (2227)



**„აკადემია ევროპა“  
თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტში რიგით  
მეხუთე რაგიონული  
სამეცნიერო ჰაბის  
გახსნის შესახებ  
ავრცელდა  
ინფორმაცია**

როგორც ვებ-გვერდი იტყობინება, „აკადემია ევროპას“ სამეურვეო საბჭომ ერთხმად დაუჭირა მხარი 2019 წლის აპრილში თბილისში რეგიონული სამეცნიერო ჰაბის გახსნას.

რეგიონული ცენტრი ევროკავშირის არანაწევრი ქვეყნებიდან პირველად საქართველოში იხსნება. ის ხელს შეუწყობს და გზას გაუხსნის ქართველ მეცნიერებს და ახალგაზრდა მეცნიერებს საერთაშორისო ასპარეზზე და უზრუნველყოფს კავკასიის რეგიონში, ახლო აღმოსავლეთისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებში მეცნიერებისა და კვლევითი საქმიანობის განვითარებას.

**რა ღონისძიებით აღნიშნავს თსუ 101 წლისთავს**



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებიდან 101 წლის აღსანიშნავი საიუბილეო ღონისძიებები სამეცნიერო სამინარით თამაჯა — „ქველი ქალაქიდან სმარტ სითიფლი“ გაიხსნება. სამინარო სახელწოდებით — „ტექნოლოგიურად გაუმჯობესებული სტრატეგიები მუშაურობის, არქეოლოგიური მუშაურობა-ნაპრაქალებისთვის, ურბანული სივრცეებისთვის და კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და პოპულარიზაციისთვის“ ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით კულტურული ტურიზმის განვითარებას, ისტორიული ქალაქის რეკონსტრუქციას, ისტორიული ურბანული ლანდშაფტების მართვას, ქველი ისტორიული ქალაქის თანამედროვე ქალაქად წარმოქმნას ეხება და სხვადასხვა დარგის ქართულ და იტალიურ მეცნიერებს შორის გამოცდილების გაზიარებას ისახავს მიზნად. ასევე, უნივერსიტეტის იუბილესთან დაკავშირებით ლიტერატურული კრებული „RettuLIT 2“ (ლიტერატურული დაბრუნება 2) პრეზენტაცია გაიმართება.

უნივერსიტეტის 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით სხვადასხვა თემის 18-მა ქართველმა მწერალმა სიტყვების ქალით მსოფლიოს გარშემო იმოგზაურა, პირად ნივთიერი კი სულხან-საბა ორბელიანის ნაქონი ატლასის ფრაგმენტები გაიხილა. სწორედ ისტორიული გომბრავიული ატლასი, სულხან-საბა ორბელიანის მიწაწერებით, გახდა მწერლების ინსპირაციის წყარო. ავტორები უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები, ასევე სტუდენტური ლიტერატურული კონკურსის „გომბრავიის ლეგენდა“ გამარჯვებულები არიან. 8 თებერვალს, ასევე, დაგეგმილია თსუ-ის მუშაურობის ორგანიზებით თამაჯური გამოფენა.

**ნომერი**



**რექტორმა სტუდენტების კითხვებს ონლაინ-რეჟიმში უპასუხა**

**გიორგი შარვაშიძე:** „ევროპის აკადემია აზინანსებს ყველა დიდ სამეცნიერო პროექტს, რომელიც ევროპის მასშტაბით ხორციელდება. საქართველოში აკადემიის კვლევითი ჰაბი 2019 წლის აპრილის მეორე ნახევარში გაიხსნება. მას პასტარის უნივერსიტეტის პროფესორი დავით ფრანგიშვილი უხელმძღვანელებს. ჰაბის საშუალო პროცესში ყველა ქართველი სახელობის მეცნიერი ჩართება. გვეძინება საშუალება, რაგიონის მასშტაბით უფრო მეტი სამეცნიერო გრანტი მოვიზიდოთ და კვლევით პროცესში ახალგაზრდები აქტიურად ჩავრთოთ.“

**წმ. გრიგოლ ფერაძის სახელობის პრემიით დაჯილდოება თსუ-ში**

83.2

**სიახლე ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე**

83.2

**ანტიკური ლიტერატურის კონკურსში გამარჯვებულები გამოვლინდნენ**

83.5

**„მეტი, ვიდრე ინფორმაცია“ – საჯარო ლექციების კრებული გამოიცა**



83.6

**საუნივერსიტეტო ქრონიკა**

83. 8-9

**შემაჯავებელი საიუბილეო ღონისძიება თსუ-ში**

**საიუბილეო საფოსტო მარკის ბრუნვენტაცია თსუ-ში**

**ისტორიული ლიტერატურული წრის აღდგენა დათო მალრადის კრებული ბრუნვენტაციით აღინიშნა**

**ელგუჯა ხინთიბიძის მონოგრაფიის წარდგენა ლონდონში**

83.7

**„ბერიტაშვილის კითხვანი“**

83.10

**„საბავშვო უნივერსიტეტი“ და ახალი ინიციატივები თსუ-ს პოპულარიზაციისთვის**

83.12

**ალექსანდრე რონდელი – ქართული გეოკონომიკური აზროვნების კლასიკოსი**

83.13

**დასუფთავების აქცია**

შოთა კაჭარავილი: „უნივერსიტეტის მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავების შედეგად გადაწყდა, განმედილ ადგილზე მოწყობს ახალგაზრდული სივრცე. ჩვენთვის მნიშვნელოვანია ისეთი ადგილების მოწყობა, სადაც სტუდენტებს ეძინებათ შესაძლებლობა – გაათარონ თავისუფალი დრო და მიიღონ სხვადასხვა სერვისი. ეს აქცია ამჟამად იწყება თსუ-ის პირველ კორპუსთან; ვაპირებთ, რომ ყველა კორპუსის მიმდებარე ტერიტორია დავასუფთავოთ.“



83.9

**ზურაბ სეფერთელაძე – 70**

83.11

**მზექალა შანიძე – 93**

83.12

# წმ. გრიგოლ ფერაძის სახელობის პრემიით დაჯილდოება თსუ-ში

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი გოჩა ჯაფარიძე და გორისა და ატენის მიტროპოლიტი ანდრია გვაზავა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა გიორგი შარვაშიძემ უნივერსიტეტის მედლით, ხოლო პოლონეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩმა საქართველოში მარიუმ მაშკიევიჩმა წმ. გრიგოლ ფერაძის სახელობის პრემიით (მედალი და დიპლომი) დააჯილდოვეს წმ. გრიგოლ ფერაძის სახელობის პრემიის მიმნიჭებელი საბჭოს შეკრება ვარშავის უნივერსიტეტის ტიშკევიჩების სასახლეში დეკემბერში გაიმართა და წმ. გრიგოლ ფერაძის სახელობის პრემია პროფესორ გოჩა ჯაფარიძესა და მიტროპოლიტი ანდრია გვაზავას ვარშავის უნივერსიტეტმა მიანიჭა, დაჯილდოების ცერემონია კი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა. ღონისძიებას პოლონეთის რესპუბლიკის საელჩოს წარმომადგენლები, სტუდენტები, პროფესორები და მოწვეული სტუმრები ესწრებოდნენ.



ბაში და პროფესორ გოჩა ჯაფარიძეს — მისმა სამეცნიერო სტატიებმა და ნიშნებმა აჩვენა პოლონეთში, რომ საქართველო ევროპული კულტურის ნაწილია“, — განაცხადა ელჩმა. „მიხარია, რომ წმ. არქიმანდრიტ გრიგოლ ფერაძის სახელი დღეს უკვე თავისუფლად უღერს ჩვენს საზოგადოებაში. ჩვენ შესაძლებლობა გვაქვს მისი სამეცნიერო და პუბლიცისტური მემკვიდრეობა შევისწავლოთ, ეს ძალიან გააღრმავებს ჩვენს ცოდნას საქართველოს ისტორიისა და ქართველ მოღვაწეთა შესახებ“, — აღნიშნა მიტროპოლიტმა ანდრია გვაზავამ.

თსუ-ის პროფესორმა გოჩა ჯაფარიძემ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ვარშავის უნივერსიტეტს მინიჭებული ჯილდოებისთვის მადლობა გადაუხადა. „გრიგოლ ფერაძის შესანიშნავი ნაშრომი, რომელიც ევროპულ პილიგრიმთა ჩანაწერებს ეხება — ქართველი ბერებისა და ქართველი ეკლესია-მონასტრების შესახებ პალესტინაში, მე გამოვეცი ქართულად. მანამდე იცოდნენ ეს ნაშრომი, მაგრამ მასობრივად ცნობილი არ იყო. ფერაძის დახმარებით ჩვენ გვაქვს ევროპული წყაროები, ჩემი მოკრძალებული წვლილით კი არაბული წყაროები. ქართული სინამდვილის ისტორიის შესწავლის საქმეში გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯი, რაც თავის დროზე გრიგოლ ფერაძის დამსახურება იყო“, — განაცხადა თსუ-ის პროფესორმა.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ისტორიკოსი, ორიენტალისტი და დიპლომატი გოჩა ჯაფარიძე ვარშავის უნივერსიტეტის წმ. გრიგოლ ფერაძის სახელობის პრემიით დაჯილდოვდა საქართველოში საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმეში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის, ღირსი მამა გიორგი მთანმინდელის სახელობის ისტორიული გიმნაზიის აღდგენის, ვარშავის უნივერსიტეტში წმ. გრიგოლ ფერაძის სრული შრომების ქართულ ენაზე გამოცემის მხარდაჭერისთვის, ასევე, ვარშავის უნივერსიტეტსა და გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს შორის სამეცნიერო კავშირების დამყარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის.

წმ. გრიგოლ ფერაძის სახელობის პრემია 2010 წელს ვარშავის უნივერსიტეტის ორიენტალისტიკის ფაკულტეტის ქართველოლოგიურ ჟურნალ „პრო გეორგიას“ ინიციატივით დაწესდა და მას ორ წელიწადში ერთხელ გასცემს. პრემია მის ლაურეატებს იმ ჰუმანიტარულ და ფსიქოლოგებისთვის გადაეცემა, რომლებსაც ისინი მთელი ცხოვრების განმავლობაში ამკვიდრებდნენ.

სხელობის პრემიით სირიასა და ეგვიპტის არქივებსა და წიგნსაცავებში საქართველოს შესახებ დაცული უცნობი არაბული ისტორიული, გეოგრაფიული, ბიოგრაფიული და გენეალოგიური ჟანრის თხზულებებისა და ხელნაწერების შესწავლაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის დაჯილდოვდა; ასევე, მონოგრაფიისთვის — „ქართველთა სავანეები და სამონასტრო თემი წმინდა მინაზე XI-XVIII საუკუნეებში (არაბული ნარატიული და დოკუმენტური წყაროების მიხედვით)“ და წმ. გრიგოლ ფერაძის ცხოვრებისა და სამეცნიერო მემკვიდრეობის შესწავლაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის.

გორისა და ატენის მიტროპოლიტი ანდრია (გვაზავა) ვარშავის უნივერსიტეტის წმ. გრიგოლ ფერაძის სახელობის პრემიით დაჯილდოვდა საქართველოში საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმეში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის, ღირსი მამა გიორგი მთანმინდელის სახელობის ისტორიული გიმნაზიის აღდგენის, ვარშავის უნივერსიტეტში წმ. გრიგოლ ფერაძის სრული შრომების ქართულ ენაზე გამოცემის მხარდაჭერისთვის, ასევე, ვარშავის უნივერსიტეტსა და გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს შორის სამეცნიერო კავშირების დამყარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის.

წმ. გრიგოლ ფერაძის სახელობის პრემია 2010 წელს ვარშავის უნივერსიტეტის ორიენტალისტიკის ფაკულტეტის ქართველოლოგიურ ჟურნალ „პრო გეორგიას“ ინიციატივით დაწესდა და მას ორ წელიწადში ერთხელ გასცემს. პრემია მის ლაურეატებს იმ ჰუმანიტარულ და ფსიქოლოგებისთვის გადაეცემა, რომლებსაც ისინი მთელი ცხოვრების განმავლობაში ამკვიდრებდნენ.

## სიახლე

### სიახლე ეკონომიკისა და ბიზნესის ფაкультატი



თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი მუდმივად ორიენტირებულია სიახლეებზე. თანამედროვე რთულ კონკურენტულ გარემოში აუცილებელია დროული ცვლილებების განხორციელება, რასაც ადასტურებს მომავალი სასწავლო წლისათვის ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მხარდაჭერით ტურიზმის საბაკალავრო-საგანმანათლებლო პროგრამაზე ეროვნული გამოცდებით ჩასარიცხი კონტინგენტის რაოდენობის გაზრდა. გარდა ამისა, ტურიზმის საბაკალავრო-საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩასარიცხად ჩასაბარებულ მეოთხე არჩევით საგანთან — მათემატიკასთან დაკავშირებით ცვლილება განხორციელდა და 2019-2020 სასწავლო წლისათვის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ტურიზმის სკოლის ტურიზმის საბაკალავრო-საგანმანათლებლო პროგრამაზე ეროვნული გამოცდებით მისაღებ 150 ადგილზე მათემატიკით ჩარიცხება 20, ისტორიით — 65, ხოლო გეოგრაფიით — 65 აბიტურიენტი.

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭო აქტიურად არის ჩაბმული ტურიზმის სკოლაში ტურიზმის ბიზნეს-ცენტრის შექმნის საკითხის განხილვაში, რომლის დაფუძნება შესაძლებელია ტურიზმის სკოლაში არსებულ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზაზე. იგი განახორციელებს ტურისტული მომსახურების სრულ სპექტრს და იქნება ტურიზმის საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო და პროფესიული განათლების პროგრამების სტუდენტთა პრაქტიკის ძირითადი ობიექტი, რომლის მოძიება დღეს ძალიან ჭირს. ტურიზმის ბიზნეს-ცენტრი აღნიშნული საქმიანობის ეფექტიანი განხორციელებით გახდება უნივერსიტეტისათვის დამატებითი ფინანსური შემოსავლების წყარო და გადაიქცევა კავკასიის რეგიონში ცნობილ ობიექტად.

მიმდინარეობს აქტიური მუშაობა ორმაგი ხარისხის სამაგისტრო პროგრამაზე ფრანგ პარტნიორებთან ერთად, რაც საშუალებას მისცემს თსუ-ს უახლესი სტანდარტების შესაბამისი სამაგისტრო პროგრამა ჰქონდეს ტურიზმში. ფაკულტეტზე, ასევე, მიმდინარეობს საბაკალავრო პროგრამების მუდმივი დახვეწის სამუშაოები, რათა ტურიზმის სპეციალობაზე მომზადებული ვიყოთ დაანონსებული ცვლილებებისათვის, კერძოდ კი გვექონდეს თანამედროვე და რეალობაზე მორგებული ახლებური პროგრამები.

ტურიზმის სკოლა მადლიერებას გამოხატავს ფაკულტეტის საბჭოსა და თსუ-ის ადმინისტრაციის მიმართ განხორციელებულ და დაგეგმილ ცვლილებებში თანადგომისათვის.

## გამოვლინდა პლაგიატის ფაქტი

2014 წლის 19 მაისს თსუ-ის აკადემიურმა საბჭომ მიიღო №46/2014 დადგენილება „სსიპ — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური ეთიკისა და სამსახურებრივი საქმიანობის ფარგლებში სამეცნიერო-საგანმანათლებლო ფუნქციის განმახორციელებელი პერსონალის სამსახურებრივი პასუხისმგებლობის შესახებ დებულების მიღების თაობაზე“, რომელიც წარმომადგენლობითი საბჭოს 2014 წლის 26 ივნისის №3 ოქმით იქნა დამტკიცებული. აღნიშნული დადგენილების საფუძველზე თსუ-ის პეტრე მელიქიშვილის სახელობის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტიდან შემოვიდა 2018 წლის 21 აგვისტოს №15510/10-02 და 2018 წლის 3 სექტემბრის №17591/10 განცხადებები, სადაც ელდარ გუგავას მიერ აკადემიური ეთიკის დარღვევის ფაქტი ფიქსირდება.

აღნიშნული საკითხის შესახებ იმსჯელა თსუ-ის რექტორის 2018 წლის 12 სექტემბრის №216/01-01 ბრძანებით შექმნილმა აკადემიური ეთიკის დარღვევის დამდგენმა კომისიამ, რომელმაც დაადგინა სსიპ — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის — პეტრე მელიქიშვილის სახელობის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის მაღალმოლეკულური ნაერთთა ქიმიის ლაბორატორიის მეცნიერ-თანამშრომლის ელდარ გუგავას მიერ აკადემიური ეთიკის დარღვევა, კერძოდ, პლაგიატი. აკადემიური ეთიკის დარღვევის დამდგენი კომისიის დასკვნა, აკადემიური ეთიკის დარღვევის თაობაზე, დადგენილებით დადასტურდა თსუ-ის აკადემიურმა საბჭომ (დადგენილება №234/2018 03.12.2018).





სტუდენტური პროექტები

მწვანე ეკონომიკის და მდგრადი განვითარების რეგიონული ჯონგროსი

ნაზირა კაკულია

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტები მსოფლიოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას — მწვანე ეკონომიკის განვითარებას ეხმებიან. ამ თემაზე, სტუდენტების ინიციატივით, უკვე ორი წელია, სამეცნიერო კონფერენცია ეწყობა. 2018 წლის მიწურულს ღონისძიებამ საერთაშორისო ხასიათი მიიღო და, ქართველ ახალგაზრდა მკვლევართან ერთად, მასში მონაწილეობა ესპანელმა და თურქმა მეცნიერებმა თუ სტუდენტებმაც მიიღეს. „მწვანე ეკონომიკის და მდგრადი განვითარების რეგიონული კონგრესი“ გასული წლის 21-22 დეკემბერს გაიმართა.



ნაზირა კაკულია

ბი მნიშვნელოვანია, რადგან პროფესორები და ახალგაზრდა მკვლევრები ერთობლივად მუშაობენ, თაობათა მჭიდრო ურთიერთობა კი მეცნიერების განვითარებისთვის უმნიშვნელოვანესია“, — განაცხადა

კონფერენციის სამეცნიერო კომიტეტის წევრმა, ასოცირებული პროფესორმა ნაზირა კაკულიამ.

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების ბიზნეს-სექტორის წარმომადგენლები უკვე აქტიურად ერთვებიან მწვანე ეკონომიკის განვითარების პროცესში და ცდილობენ — შეამცირონ გარემოს დაბინძურება, კლიმატის ცვლილება და თავიდან აიცილონ ბუნებრივი რესურსების გამოვლენის საშიშროება. შესაბამისად, მწვანე ეკონომიკა მეცნიერების აქტიური შესწავლის საგანი გახდა და დამატებით კვლევებსა და სამეცნიერო სექტორის პროგრე-

სულ ხედვას საჭიროებს. სწორედ აქედან გამომდინარე გადაწყვიტეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმა აღნიშნულ თემაზე სამეცნიერო ღონისძიების ჩატარება. რეგიონულ კონგრესს ორგანიზება დოქტორანტებმა ცოტნე ჟღენტმა, ნინო ბინაძემ, ვახტანგ ჩქარეულმა (მაკროეკონომიკის კათედრა), ერეკლე ზარანდიამ (ეკონომიკური პოლიტიკის კათედრა) და მაგისტრანტმა ნიკო ხუციშვილმა (ეკონომიკური პოლიტიკის კათედრა) გაუწიეს.

„ეს სამეცნიერო კონფერენცია მთლიანად ეძღვნება მწვანე ეკონომიკას, რომელიც მსოფლიოს მასშტაბით აქტუალური საკითხია და, შესაბამისად, ვცდილობთ — ჩვენც ჩავერთოთ კვლევით პროცესში. ღონისძიებაზე ესპანელი და თურქი პროფესორები და სტუდენტები მოვიწვიეთ, რამაც საკითხის მასშტაბურად და სიღრმისეულად განხილვას შეუწყო ხელი“, — აღნიშნა ეკონომიკური კათედრის დოქტორანტმა ერეკლე ზარანდიამ.

„დღეს არსებულმა გარემოებებმა, მათ შორის, ენერგორესურსების დეფიციტმა მსოფლიო მწვანე ეკონომიკის

განვითარებაზე დააფიქრა. მწვანე ეკონომიკა გახდა არა მარტო პრაქტიკული, არამედ მეცნიერების შესწავლის საგანიც. მსოფლიოს სხვადასხვა უნივერსიტეტებში უკვე ისწავლება ეს მიმართულება. ამიტომაც საჭიროა არა მარტო პრაქტიკული ზომების მიღება, არამედ თეორიული ღონისძიებების გამართვაც“, — გვითხრა მაკროეკონომიკის მიმართულების დოქტორანტმა ცოტნე ჟღენტმა.

რეგიონულ კონგრესზე მოხსენებები ქართველმა, თურქმა და ესპანელმა პროფესორებმა და სტუდენტებმა წარმოადგინეს. მათი ნაშრომები ეხებოდა ისეთ თემებს, როგორცაა — „ციკლური ეკონომიკის განვითარების ანალიზი“, „მწვანე შენობების სერტიფიცირების სისტემები“, „მდგრადი არქიტექტურა“, „დასაქმების ზრდა“, „ეკონომიკური და ეკოლოგიური გამოწვევები თანამედროვე მსოფლიოსა და საქართველოში“ და ა.შ.

„მწვანე ეკონომიკის და მდგრადი განვითარების რეგიონული კონგრესი“ თსუ-ის სტუდენტური პროექტების დაფინანსების საბჭოს მიერ გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვების შედეგად დაფინანსდა.

ანტიური ლიტერატურის ჯონგროსში გამარჯვებულები გამოვლინდნენ

ნაზირა კაკულია

სტიკური ლიტერატურის კონკურსი „პიგმალიონში“ გამარჯვებულები გამოვლინდნენ. პირველი ადგილი თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ფილოლოგიის IV კურსის სტუდენტმა ლიდა კანთელაშვილმა დაიკავა, რომელსაც კომპიუტერული მალაზია „ალტაოქის“ 800 ლარიანი სასაჩუქრე ვაუჩერი გადაეცა. II ადგილზე ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ფილოლოგიის III კურსის სტუდენტი გიორგი კახიშვილი გავიდა, რომელმაც საჩუქრად ასევე კომპიუტერული მალაზია „ალტაოქის“ 400 ლარიანი ვაუჩერი მიიღო. III ადგილზე გასული თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის II კურსის სტუდენტი თეა მიქელაძე კი წიგნების მალაზიის 200 ლარიანი ვაუჩერით დასაჩუქრდა. დაჯილდოების ცერემონია 2018 წლის 28 დეკემბერს თსუ-ის კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტში გაიმართა.



ფაკულტეტის სტუდენტების გარდა, პროექტში სხვადასხვა ფაკულტეტის სტუდენტებიც მონაწილეობდნენ და მათ შორის ერთ-ერთმა — იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტმა კონკურსში III ადგილი დაიკავა. კონკურსის მონაწილეთა ნაწილს აქამდე ანტიკურ ლიტერატურასთან შეხება არ ჰქონია და აღსანიშნავია, რომ სწორედ ჩვენი პროექტის საშუალებით გაეცნო და შეიყვარა მსოფლიო ლიტერატურის ეს მნიშვნელოვანი საგანძური უმეტესობამ. მინდა დიდი მადლობა გადავუხადო სტუდენტური პროექტების დაფინანსების საბჭოს — ეს ძალიან კარგი ფორმატია საინტერესო და ნაყოფიერი პროექტების განსახორციელებლად. ასევე, მადლობას მოვასხენებ ინსტიტუტის ხელმძღვანელს თინა დოლიძესა და კლასიკური ფილოლოგიის კათედრის პროფესორებს“, — განაცხადა თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტმა, პროექტის ავტორმა მარიამ კალაძემ.

ერთი ნაშთი არ დავფიქრებულვარ, რომ პროექტში მონაწილეობისთვის დავრეგისტრირებულიყავი. ინფორმაცია მეგობრებსაც კი გავუზიარე. რაზეც დანამდვილებით შემიძლია ვთქვა რომ მიყვარს, ეს ლიტერატურაა... ძველი ბერძნული მწერლობა კი ლიტერატურის საფუძველია. ამიტომ ვთვლი, რომ რასაც უნდა აკეთებდე და რა პროფესიისაც არ უნდა იყო, ლიტერატურა აბსოლუტურად უნიკალურია და ადამიანის ცხოვრების ყველა სფეროს ეხება. მიხარია, რომ ამ პროექტის თბილი გარემოს ნაწილი გავხდი. არ მეგონა, თუ გამარჯვებულთა შორის მოხვდებოდი. კონკურსის ბოლო ეტაპზე მხოლოდ იმიტომ წავედი, რომ ათენამ შთამაგონა — დამარცხებულის სიამაყე გამოიჩინე და „ოდისეაზე“ დაწერეო. როგორც ჩანს, ღმერთები ჩემს მხარეს იყვნენ“, — აღნიშნა თეა მიქელაძემ.

რატურის წარმოუდგენლად მრავალფეროვან და ესთეტიკურ სამყაროში. „პიგმალიონი“ სწორედ ამგვარი სტიმულისა და ბიძგის მომცემი კონკურსია, რამაც თავისი დანიშნულება ნამდვილად გაამართლა, როგორც მონაწილეთა რაოდენობის, ასევე მათი ერთობიანობისა და ადვოკატების გათვალისწინებით. ჩემთვის ნამდვილად დიდი ბედნიერება და პატივია გამარჯვებულთა გვერდით დგომა. იმედოვნებ, „პიგმალიონი“ კიდევ მრავალჯერ ჩატარდება და მრავალი წლის მანძილზე შეაყვარებს მკითხველს ანტიკურ ლიტერატურას“, — გვითხრა გიორგი კახიშვილმა.

სტუდენტური პროექტების დაფინანსების საბჭოს ფინანსური მხარდაჭერით ჩატარდა. კონკურსის მთავარი მიზანი იყო ანტიკური კულტურისა და ლიტერატურის პოპულარიზაცია, სტუდენტებისათვის ბერძნულ-რომაული თარგმანების გაცნობა და ახალგაზრდებში ნივთიერების დონის ამაღლება.

„სტუდენტების აქტივობა საკმაოდ მაღალი იყო. საწყის ეტაპზე 100 მონაწილე დარეგისტრირდა, მათ შორის იყვნენ როგორც თსუ-ის სხვადასხვა ფაკულტეტის, ასევე ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისა და თავისუფალი უნივერსიტეტის სტუდენტებიც. ჩვენს მიზანს — დაგვიინტერესებინა ანტიკური ლიტერატურით ახალგაზრდები — მივაღწიეთ. სასიხარულო ფაქტია, რომ, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა

„ანტიკური ლიტერატურა პოპულარული ლიტერატურის სიაში არასოდეს ყოფილა. ამის მიზეზი, ერთი მხრივ, მისი სირთულეა, მეორე მხრივ კი — ამაღლებულობა. დღევანდელ მკითხველს სირთულე ავრთხობს, ამაღლებულთან ზიარების მნიშვნელობის გააზრება კი — უჭირს. სწორედ ამიტომ, მათ სჭირდება სტიმული, ერთგვარი ბიძგი, რათა შეაბიჯონ ანტიკური ლიტე-



„სრულიად შემთხვევით გავიგე პროექტის შესახებ და







# ს ა უ ნ ი ვ ე რ ს ი ტ ე ტ ი ქ რ ო ნ ი კ ა



## შეაჯავებელი საიუბილო ლონისძიება თსუ-ში

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულების, მიუნხენის და ნიუ-იორკის უნივერსიტეტების პროფესორის გია დვალის, ეროვნული მუზეუმის გენერალური დირექტორის, თსუ-ის პროფესორის დავით ლორთქიფანიძის და ლუნდის უნივერსიტეტის პროფესორის ზაალ კოკაიას ერთობლივი საჯარო ლექცია გაიმართა თემაზე — „მიგრაცია: სამყარო, ადამიანი და ტვინი“. ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების მიერ ორგანიზებული წლის შემაჯავებელი ღონისძიება — საჯარო ლექცია უნივერსიტეტის დაარსების 100 წლის იუბილეს ფარგლებში გაიმართა.

„საინტერესო ლექცია ჩაატარეს ჩვენმა კურსდამთავრებულებმა, უნივერსიტეტის საზოგადოების წევრებმა. ეს იყო მათი საჩუქარი, რომელიც მიეძღვნა ჩვენს საიუბილო თარიღს — უნივერსიტეტის 100-წლისთავს. ამ ღონისძიებით დავასრულეთ საიუბილო წელიწადი. იმედია, რომ ჩვენი ძალიან ბევრი კურსდამთავრებული ასევე მხარში ამოგვიდგება და აქტი-

ურ მონაწილეობას მიიღებს საუნივერსიტეტო ცხოვრებაში“, — განაცხადა გიორგი შარვაშიძემ.

უნივერსიტეტის ყველა კურსდამთავრებულისთვის მნიშვნელოვანი ღონისძიება უწოდა ჩატარებულ საჯარო ლექციებს გია დვალმა. ეროვნული მუზეუმის გენერალური დირექტორის, თსუ-ის პროფესორის დავით ლორთქიფანიძის თქმით კი — ქართველი მეცნიერების ამოცანაა ყველას აჩვენოს, რომ საქართველო თავისი წარსულით არის მსოფლიო მეცნიერების ყურადღების ცენტრში. „ჩემთვის, ისევე როგორც ნებისმიერი ქართველისთვის, უნივერსიტეტი არის ის დაწესებულება, რომელიც არის ლიდერი მთლიანად საქართველოს ინტელექტუალური განვითარების. ძალიან დიდი პატივია, რომ 100 წლის იუბილეს ბოლო დღეს ჩვენი ლექცია იყო. ჩვენ ვცადეთ წარმოგვედგინა სხვადასხვა მეცნიერების საშუალებით ერთი პროცესი“, — აღნიშნა დავით ლორთქიფანიძემ.

„მონარული ვარ, რომ უნივერსიტეტის სხვადასხვა ფაკულტეტის კურსდამთავრებულებს მოგვეცა სა-

შუალება ფართო აუდიტორიისთვის წარმოგვედგინა კვლევები და გვეჩვენებინა, რომ დღევანდელი მეცნიერება და შემეცნების პროცესი არის მულტიდისციპლინარული და ერთი და იგივე საკითხი შესაძლებელია განხილულ იქნას სხვადასხვა კუთხით. ეს ღონისძიება ნაწილია უნივერსიტეტის საზოგადოების აქტივობის, რაც გულისხმობს ფართო საზოგადოებასთან ურთიერთობასა და უნივერსიტეტის ყოველდღიურ ცხოვრებაში უნივერ-

სიტეტის კურსდამთავრებულების ჩართვას“, — განაცხადა ზაალ კოკაიამ.

ქართული უნივერსიტეტის საზოგადოება თსუ-ში 2017 წლის 15 დეკემბერს აღდგა და მიზნად ისახავს უნივერსიტეტის განვითარებაზე ზრუნვას, აერთიანებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებსა და მის მხარდამჭერებს.



ზაალ კოკაია, გია დვალი და დავით ლორთქიფანიძე



## საიუბილო საფოსტო მარკის პრეზენტაცია თსუ-ში

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 100 წლის იუბილესთან დაკავშირებული საფოსტო მარკის პრეზენტაცია გაიმართა, რომელსაც თსუ-ის რექტორი გიორგი შარვაშიძე, „საქართველოს ფოსტის“ გენერალური დირექტორი ლევან ჩიკვაიძე, პროფესორები, სტუდენტები, მონაწილე სტუდენტები ესწრებოდნენ.

„საქართველოს ფოსტამ“ საიუბილო მარკა გავაშუქა. ძალიან ლამაზი მარკაა, რომელიც უნივერსიტეტის იუბილეს ეძღვნება. საფოსტო მარკა მიმოქცევაში დეკემბერში გამოვა 50 ათასი ერთეულის ტირაჟით“, — აღნიშნა თსუ-ის რექტორმა გიორგი შარვაშიძემ.

ღონისძიებაზე უნივერსიტეტის წარჩინებულმა სტუდენტებმა თამარ ლაშხმა და გიორგი თორდუამ, რექტორმა გიორგი შარვაშიძემ, „საქართველოს ფოსტის“ გენერალურმა დირექტორმა ლევან ჩიკვაიძემ, უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებმა, ცნობილმა მეცნიერებმა ზაალ კოკაიამ და დავით

ლორთქიფანიძემ საიუბილო მარკებზე საზეიმოდ დასვეს ბეჭედი.

მონარული ვარ, რომ მოგვეცა შესაძლებლობა საქართველოს ფოსტის სახელით ასეთი მნიშვნელოვანი თარიღის აღნიშვნაში მიგველო მონაწილეობა. ჩვენ გამოვეცით საიუბილო მარკა, რომელზეც გამოსახულია უნივერსიტეტის შენობა. მარკა ძალიან საინტერესოა, სამი ლარის ნომინალის ღირებულებით. ამ მარკის საშუალებით დანარჩენ მსოფლიოს გავაცნობთ ამ ღირსშესანიშნაობას“, — განაცხადა „საქართველოს ფოსტის“ გენერალურმა დირექტორმა ლევან ჩიკვაიძემ.

საიუბილო საფოსტო მარკის დიზაინერია ნიკა გონგაძე. მარკაზე გამოსახულია დიმიტრი ერმაკოვის მიერ მე-20 საუკუნის დასაწყისში გადაღებული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობა და გერბი (ავტორი დიმიტრი შვეარდნაძე).

ღონისძიება გაიმართა უნივერსიტეტის დაარსების 100 წლის იუბილეს ფარგლებში, რომლის ორგანიზატორი

იყო ქართული უნივერსიტეტის საზოგადოება. უნივერსიტეტის საზოგადოება თსუ-ში 2017 წლის 15 დეკემბერს აღდგა, რომელიც მიზნად ისახავს უნი-

ვერსიტეტის განვითარებაზე ზრუნვას, აერთიანებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებსა და მის მხარდამჭერებს.



03. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების 100 წელიწადი  
100 Years of Foundation of I. Javakishvili Tbilisi State University



## ისტორიული ლიბრაბურული წრის აღდგენა დათო მალრაძის ჯრუბლის პრეზენტაციით აღინიშნა

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 93-ე აუდიტორია აღადგინეს. 93-ე აუდიტორია უნივერსიტეტის წარსული ლიტერატურული ცხოვრების მდიდარ გამოცდილებას ინახავს. წარსულის ისტორია ასეთია: უნივერსიტეტში 1947 წლის შემოდგომაზე შეიქმნა სტუდენტთა ლიტერატურული წრე. 1950 წელს უკვე გამოვიდა ალმანახი — „პირველი სხივი“. სწორედ აქ აიდგეს ფეხი შემდგომში ცნობილმა ქართველმა პოეტებმა და მწერლებმა. იმჟამინდელი რექტორის ნიკო კეცხოველის 1951 წლის 24 დეკემბრის ბრძანებით ამ წრეს ეწოდა „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალგაზრდა მწერალთა წრე“.

რეზო ინანიშვილი, თამაზ ჭილაძე, ანა კალანდაძე, მუხრან მაჭავარიანი, ოთარ ჯილაძე, ჯანსუღ ჩარკვიანი, მორის ფოცხიშვილი, შოთა ნიშინიძე და სხვა უამრავი ცნობილი დრამატურგი თუ მთარგმნელი სწორედ 93-ე აუდიტორიაში იკრიბებოდა და მართავდა ლიტერატურულ საღამოებსა თუ დისკუსიებს. ერთ-ერთი მათგანი პოეტი დათო მალრაძეა. უნივერსიტეტებმა ისტორიული ლიტერატურული წრის აღდგენა სწორედ დათო მალრაძის კრებულის „უსადაურო“-ს პრეზენტაციით აღინიშნეს.

72 წლის შემდეგ 93-ე აუდიტორია სტუდენტური თვითმმართველობისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტე-



ტის რექტორის ინიციატივით აღდგა. გიორგი შარვაშიძის განცხადებით, 93-ე აუდიტორიაში იბადებოდა ახალი სიტყ-

ვა პოეზიასა და პროზაში და, ამასთანავე, ეს იყო ადგილი, სადაც საბჭოთა მარშუხების პირობებში თავისუფალი აზრის გამოხატვა შეიძლებოდა.

კრებულში „უსადაურო“ დათო მალრაძის მთელი შემოქმედება გაერთიანდა. დათო მალრაძის კრებულის პრეზენტაციას 93-ე აუდიტორიების ძველი თაობის წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. აღდგა განყვეტილი კავშირი და დაკარგული ტრადიცია. 93-ელების შეფასებით, დათო მალრაძე არის პოეტი, რომელმაც საქართველო მსოფლიოს ყველა ქვეყანაში უნდა წარადგინოს.

უნივერსიტეტმა ალმანახ „პირველი სხივის“ გამოცემის აღდგენის გადაწყვეტილებაც მიიღო. „პირველი სხივი“ პირველად 1950 წელს აკადემიკოს ნიკო კეცხოველის ინიციატივით გამოიცა. ალმანახში 93-ე აუდიტორიელების შემოქმედება იბეჭდებოდა. 2004 წლამდე სულ 30 ნომერი დაისტამბა.





# ს ა უ ნ ი ვ ე რ ს ი ტ ე ტ ო ქ რ ო ნ ი კ ა



## თანამშრომლობის მემორანდუმი თსუ-სა და ჯავახიშვილის უნივერსიტეტს შორის

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და კავკასიის უნივერსიტეტს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა, რომელსაც ხელი თსუ-ის რექტორმა გიორგი შარვაშიძემ და კავკასიის უნივერსიტეტის დირექტორმა კახა შენგელიამ მოაწერეს.

ხელშეკრულების თანახმად, მხარეები ხელს შეუწყობენ ბიზნესის, ტურიზმის, ეკონომიკის, მედიცინისა და ჯანდაცვის, სამართალმცოდნეობის, სახელმწიფო მართვის, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების, მედიისა და ტექნოლოგიების, ასევე განათლების სფეროში გამოცდილების გაზიარებასა

და სიახლეების ტრანსფერს, როგორც საგანმანათლებლო, ისე საქესპერტო საკითხებზე.

მემორანდუმი მოიცავს მხარეთა თანამშრომლობას შემდეგი მიმართულებების მიხედვით: საგანმანათლებლო პროგრამების, ფუნდამენტური და გამოყენებითი სამეცნიერო კვლევების, ინოვაციური კვლევებითა და სწავლებით საუნივერსიტეტო ტრადიციების განვითარება; გამოცდილების გაცვლა თანამშრომლობის სფეროში ძირითად საკვანძო საკითხებზე; ერთობლივი სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციების, ტრენინგებისა და მასტერკლასების ჩატარება.



## თსუ-ის და ტაიხიოს უნივერსიტეტი სამეცნიერო-კვლევით თანამშრომლობას გააღრმავებენ



თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და იაპონიის ტეიკიოს უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. მემორანდუმი სამეცნიერო და აკადემიურ სფეროში თანამშრომლობას, ასევე სტუდენტების, პროფესორებისა და სამეცნიერო-კვლევითი ჯგუფების გაცვლას გულისხმობს. თანამშრომლობის ხელშეკრულებას ხელი თსუ-ის რექტორმა გიორგი შარვაშიძემ და ტეიკიოს უნივერსიტეტის პრეზიდენტმა იოშიჰიტო ოკინაგამ მოაწერეს. ხელმოწერის ცერემონიას იაპონიის ელჩი საქართველოში ტადაჰარუ უეჰარა ესწრებოდა.

ნი მემორანდუმი ტეიკიოს უნივერსიტეტთან მრავალი მიმართულებით თანამშრომლობას ითვალისწინებს. „ვისაუბრეთ რამდენიმე მიმართულებაზე, სადაც ორმხრივი ინტერესი გამოიკვეთა — მათ შორის არის კულტურული მემკვიდრეობა, ტექნოლოგიები და სამედიცინო მიმართულება. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ჩვენი მეცნიერებისა და კულტურის მიმართ ასეთი ინტერესია“, — განაცხადა თსუ-ის რექტორმა.

ტეიკიოს უნივერსიტეტი ერთ-ერთი წამყვანი კერძო უნივერსიტეტია იაპონიაში, რომელიც 1966 წლიდან არსებობს და ამ ეტაპზე 27 000 სტუდენტი ჰყავს.

როგორც თსუ-ის რექტორმა გიორგი შარვაშიძემ აღნიშნა, ხუთწლია-



## საფრანგეთის რესპუბლიკის ელჩის ვიზიტი თსუ-ში

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და საფრანგეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან მიმდინარე და სამომავლო პარტნიორობის საკითხები განიხილეს შეხვედრაზე თსუ რექტორმა გიორგი შარვაშიძემ და საქართველოში საფრანგეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა პასკალ მენიემ. შეხვედრაზე საუბარი შეეხო ერ-

თობლივი სამეცნიერო და კვლევითი აქტივობების განხორციელების შესაძლებლობებს, რომელსაც გასული წლის მაისში საქართველოსა და საფრანგეთის მთავრობებს შორის ხელმოწერილი ქართულ-ფრანგული უნივერსიტეტის პროექტი იძლევა. პროექტის თანახმად, უნდა შეიქმნას ერთობლივი სასწავლო პროგრამები, ორმაგი დიპლომები ტურიზმის, სოფლის მეურნეობისა და ინფორმაციის მიმართულებით.



## დასუფთავების აქცია

ცნობილი გარემოსდაცველის, მეცნიერის, თსუ-ის პროფესორის შოთა ადამიას 90 წლის იუბილეს მიუძღვნეს დასუფთავების აქცია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმა, პროფესორებმა, ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა. მდინარე ვერეს ხეობასა და ვარაზისხევში უნივერსიტეტის მიმდებარე ტერიტორიების დასუფთავების ინიციატივით თსუ სტუდენტმა მიმართა რექტორს გიორგი შარვაშიძეს „ფეისბუქ-ლაივის“ დროს.

„მსგავსი აქციები უნდა მოეწყოს არა მარტო პირველი კორპუსის გარშემო, არამედ, უნივერსიტეტის სხვა კორპუსებთანაც. ეს ინიციატივა მხარდასაჭერია. დღეს არის ცნობილი მეცნიერის, გეოლოგის, ბუნების ქიმიკის, ჩვენი ღვანდღოსილი პროფესორის შოთა ადამიას დაბადების დღე და ეს აქცია არის სტუდენტური საჩუქარი მისთვის“, — აღნიშნა თსუ-ის რექტორმა გიორგი შარვაშიძემ.

„უნივერსიტეტის მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავების შემდეგ გადამწყდა, განმედილ ადგილზე მოეწყოს ახალგაზრდული სივრცე. ჩვენთვის მნიშვნელოვანია ისეთი ადგილების მოწყობა, სადაც სტუდენტებს ექნებათ შესაძლებლობა გაატარონ თავისუფალი დრო და მიიღონ სხვადასხვა სერვისი. ეს აქცია ამჯერად იწყება თსუ-ის პირველ კორპუსთან; ვაპირებთ, რომ ყველა კორპუსის მიმდებარე ტერიტორია დავასუფთავოთ“, — განაცხადა თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტმა შოთა კუყერაშვილმა.

დედაქალაქში შექმნილ ეკოლოგიურ მდგომარეობასა და მსგავსი აქციების მნიშვნელობაზე გააკეთა აქცენტი თსუ-ის პროფესორმა ელგუჯა მექვარიშვილმა: „ხშირად ვწუწუნებთ, რომ ქალაქი დაბინძურებულია. ამიტომ გადავწყვიტეთ დავასრულოთ ნუნუნი და გადავიდეთ პრაქტიკულ საქმიანობაზე. სტუდენტებმა, პროფესორებმა ერთად დავასუფთავეთ უნივერსიტე-

ტის მიმდებარე ტერიტორია. იქნებ ეს ინიციატივა გადამდები აღმოჩნდეს სხვა მოქალაქეებისათვის და მათაც დაასუფთავონ თავიანთი ეზო, სადარბაზო, უბანი“.

თსუ-ის პროფესორის რევაზ შანიძის თქმით, მსგავსი აქციები ხშირად ეწყობა სხვადასხვა ევროპულ თუ ამერიკულ უნივერსიტეტში და მასში სტუდენტები და პროფესორები ერთად მონაწილეობენ. „მეც ამ უნივერსიტეტის

სტუდენტი ვიყავი, ეს სივრცე მშობლიურია ჩემთვის. მიხარია, რომ პატარა წვლილი შევიტანე იმ საქმეში, რასაც უნივერსიტეტის დასუფთავება და გალამაზება ჰქვია“, — განაცხადა თსუ-ის პროფესორმა.

თსუ-ის სტუდენტების მიერ ინიცირებული დასუფთავების აქცია თსუ-ის ადმინისტრაციის, ეკოლოგიური უსაფრთხოების ფონდისა და ქალაქ თბილისის მერიის მხარდაჭერით მოეწყო.



ჩანართი მომზადებულია საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის მიერ მოწოდებული მასალებით



# „ბერიტაშვილის ხითხვანი“



ივანე ბერიტაშვილი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ქართული ფიზიოლოგიური სკოლის ფუძემდებლის ივანე ბერიტაშვილის დაბადებიდან 134 წელი აღინიშნა. ღონისძიება უკვე ტრადიციად იქცა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამფუძნებლის იუბილეს ივანე ბერიტაშვილის სახელობის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრი ყოველ წელს საჯარო მოხსენებით აღნიშნავს. ინსტიტუტის მეცნიერები საზოგადოებას ჩატარებული კვლევების უახლეს შედეგებს აცნობენ. წელს საჯარო ლექცია ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა არჩილ კეზელმა წაიკითხა. არჩილ კეზელი თვალის ფიზიოლოგიას იკვლევს და, შესაბამისად, მისი მოხსენების თემა გახლდათ: „მე ვხედავ, რატომ ვხედავ, რისთვის ვხედავ“. კვლევის შედეგად, მეცნიერმა დაადგინა, რომ აქამდე მიღებული თეორია — კატა ფერებს ვერ არჩევს — არ შეესაბამება სიმართლეს და მას სხვადასხვა ფერის მიმღებლობის უნარი გააჩნია. მოხსენებისას არჩილ კეზელმა, ასევე ისაუბრა — თუ რა გავლენას ახდენს თანამედროვე პერიოდის ერთ-ერთი მახასიათებელი — გადატვირთული ვიზუალური სივრცე — ადამიანის მხედველობაზე.

„გმუშაობ მხედველობის ფიზიოლოგიის პრობლემებზე. შესაბამისად, ვისაუბრე მხედველობის ორგანოს მუშაობის მექანიზმზე. ეს ურთულესი პროცესია, რომელსაც თვალის მეშვეობით ჩვენი თავის ტვინი ახორციელებს. ჩემს მოხსენებაში წარმოვადგინე ის მიღწევები, რაც დღესდღეობით გვაქვს. მხედველობის ფიზიოლოგიის შესწავლაზე დამოკიდებულია არა მხოლოდ ადამიანის ჯანმრთელობა, არამედ თანამედროვე ვიდეოგადამტარები ტექნიკის განვითარებაც, რადგან ვიდეოკამერების, სწორედ იმ კა-

ნონზომიერებების მიხედვით იქმნება, რომელიც მეცნიერებმა აღმოვაჩინეთ, დავადგინეთ და შემდეგ გადაიტანეს წარმოებაში“, — განაცხადა არჩილ კეზელმა.

ივანე ბერიტაშვილისადმი მიძღვნილ სამეცნიერო სხდომას ფიზიოლოგთა საზოგადოების, ნევროლოგთა საზოგადოების, ბიოლოგიის მეცნიერებათა სხვადასხვა ასოციაციის წევრები და ივანე ბერიტაშვილის შთამომავლები დაესწრნენ. სხდომა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა გიორგი შარვაშიძემ გახსნა. თსუ-ის რექტორის განცხადებით, პირველ ქართულ უნივერსიტეტს საერთაშორისო რეიტინგებში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უჭირავს, რისი განმაპირობებელი ერთ-ერთი ფაქტორიც ის რეპუტაციაა, რომელსაც საუკუნის განმავლობაში ისეთი დიდი მეცნიერები ქმნიდნენ, როგორც ივანე ბერიტაშვილია.

„მნიშვნელოვანია, რომ თაობათა კავშირი არ დაირღვეს. ივანე ბერიტაშვილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამფუძნებელი იყო. ლექციების კითხვა 1919 წლიდან დაიწყო და ძალიან რთულ ვითარებაში მოუწია თავიდან მუშაობა, რადგან არ იყო კვლევისა და ექსპერიმენტის ჩატარებისთვის შესაბამისი პირობები. მიუხედავად ამისა, ძალიან სწრაფად შეძლო ფიზიოლოგიის მთელი სკოლის ჩამოყალიბება, მოიზიდა ახალგაზრდები, გახსნა ფიზიოლოგიის კვლევითი ცენტრი და უნივერსიტეტში შექმნა ფიზიოლოგიის კათედრა, რომელსაც 1960 წლამდე ხელმძღვანელობდა. იგი არის მაღალი რანგის მეცნიერი, რომელსაც ჰქონდა მსოფლიო დონის აღიარება. ჩვენ არც ისე განებივრებული ვიყავით და ვართ ასეთი დონის მეცნიერებით. ამდენად, ისინი უნდა გვახსოვდეს და ვიცოდეთ, რომ მათ დაიწყეს ქართული მეცნიერების განვითარება“, — განაცხადა თსუ-ის რექტორმა გიორგი შარვაშიძემ.

ივანე ბერიტაშვილი არაერთი ფუნდამენტური სამეცნიერო ნაშრომის ავტორია — მათ შორის არის კუნთოვანი და ნერვული სისტემის ფიზიოლოგია, ხერხემლიან ცხოველთა მეხსიერების მახასიათებლები და წარმოშობა, უმაღლეს ხერხემლიან ცხოველთა ქცევის მექანიზმები და მათი სივრცითი ორიენტაცია. მან შექმნა და საერთაშორისო სამეცნიერო ასპარეზზე ადგილი დაუშვებდა ქართულ ფიზიოლოგთა სკოლას; განამტკიცა საერთაშორისო კავშირები.

ივანე ბერიტაშვილი იყო ივანე პავლოვის სახელობის ფიზიოლოგთა სრულიად საკავშირო საზოგადოების (1970 წ.), ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის (1959 წ.), ტვინის გამოკვლევის საერთაშორისო ორგანიზაციის (1960 წ.), ამერიკის ელექტრონეცეფალოგრაფიული საზოგადოების (1979



წ.), უმაღლესი ნერვული მოქმედების საერთაშორისო კოლეგიის (1969 წ.), ამერიკის ბიოლოგია-ფსიქიატრიის საზოგადოების (1969 წ.) საპატიო წევრი. ივანე ბერიტაშვილის ბიოგრაფია მისივე სახელობის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრის განყოფილების გამგემ მერაბ ცაგარელმა დაწერა. ამჟამად იგი დიდი მეცნიერის ბიოგრაფიის ნიგნის მეორე, განვრცობილ გამოცემას ამზადებს.

„ამ ნიგნის დაწერა გადაწყვიტე, რადგან მივიწყებულია სასიქადულო მეცნიერების ღვაწლი. ახლა მალე იხილავთ ივანე ბერიტაშვილის ბიოგრაფიის მეორე გამოცემას, რომელიც ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე იქნება. აუცილებელია, ახალგაზრდებმა იცოდნენ ჩვენი მეცნიერების ფესვების შესახებ. ივანე ბერიტაშვილი განსაკუთრებული მეცნიერი იყო. მისი პიროვნების საკვანძო მახასიათებელი შრომისმოყვარეობა, სამეცნიერო ცნობისმოყვარეობა და მიზანსწავულობა გახლდათ, რაც ქართველებს იშვიათად ახასიათებთ, რადგან შედეგის მაშინვე მიღება სურთ, სულსწრაფები არიან. ეს ნიშნები მის ბიოგრაფიაში თვალნათლივ ჩანს. სწორედ ამიტომ მიაღწია მან საერთაშორისო დონეს. მისი სამეცნიერო პუბლიკაციები საერთაშორისო ჟურნალებში

ძირითადად მანამდე, 20-იან წლებში ქვეყნდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ 30-იანი წლების შემდეგ საბჭოთა კავშირი იზოლაციაში მოექცა, მუდმივად ცდილობდა, კონტაქტი ჰქონოდა უცხოელ კოლეგებთან. იგი ამ პერიოდში მოკლებული იყო ოპონირებას, რამაც მას, როგორც მეცნიერს, დიდი ზიანი მიაყენა. ამავე დროს იგი იყო პავლოვის მოძღვრების ოპონენტი, მიჩნეულ იქნა „ანტიპავლოვისტად“, რის გამოც ჩამოაცილეს ფიზიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორობას და 3 წლის განმავლობაში სამეცნიერო მოღვაწეობა აეკრძალა. მიუხედავად ამისა, მან გამოსცა შესანიშნავი ნიგნი უძველესი დროიდან ქართული სამეცნიერო აზროვნების განვითარების შესახებ“, — განაცხადა მერაბ ცაგარელმა.

„ივანე ბერიტაშვილის დაბადებიდან გავიდა 134 წელი. მისი მონაფეხებიდან ერთი-ორი თუ დარჩა ცოცხალი, მაგრამ, როგორც ხედავთ, ინახავენ ამ სკოლას და მას კიდევ აქვს მეცნიერული ინერცია, რაც მისასაღებელია. დღეს ყოფიერება უამრავი სიხალით გვანვება და ყველანაირ პირობას ქმნის, რომ მარტივად დაავიწყოს საზოგადოებას წარსული. ამიტომ ეს ტრადიცია, რომელიც ჩამოაყალიბეს ქართველმა ფიზიოლოგებმა, ძალიან მისასაღებელია და ივანე ბერიტაშვილის ოჯახი ამას ძალიან აფასებს“, — გვითხრა ივანე ბერიტაშვილის შვილიშვილმა დავით ბერიტაშვილმა.

ივანე ბერიტაშვილის დაბადებიდან 134 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სხდომა — „ბერიტაშვილის კითხვანი“ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს ივანე ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგთა საზოგადოების, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისა და ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრის ორგანიზებით 10 დეკემბერს გაიმართა. ღონისძიების მონაწილეებმა ივანე ბერიტაშვილის ხსოვნას პატივი მიაგეს და მისი საფლავი ყვავილებით შეამკეს.



# ზურაბ სეფერთელაძე - 70

ბატონი ზურაბ სეფერთელაძე, თითქმის ხუთი ათეული წელია, 1966 წლიდან (სტუდენტობის წლების ჩათვლით) ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ცხოვრებით ცხოვრობს და მისი ჭირ-ვარამის ერთგული გამზარებულია. ამ ხნის განმავლობაში მისი ყოველი დღე უკავშირდება სტუდენტობას, დოქტორანტობას და კოლეგებთან გულისხმიერ ურთიერთობას. უმთავრეს ამოცანად კი მინიჭებული თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად, კვალიფიკაციური კადრების აღზრდას, ნამდვილ პროფესიონალურ სპეციალისტებად მათ ჩამოყალიბებას მიიჩნევს.

მისთვის დღემდე შთაბეჭდილებას მისი პედაგოგის, პროფ. დ. უკლებას სიტყვები — „ლექციის წინა დღეს და ჩატარების დღეს, სხვას ვერაფერს ვაკეთებ, მთელი ჩემი გონება-განწყობა ლექციის მომზადებისა და ჩატარების ირგვლივ ფიქრით შემოიფარგლება“. სწორედ ამ განწყობით და ასეთივე ენთუზიაზმით შედის ლექციებზე სტუდენტების წინაშე ბატონი ზურაბი დღემდე და ამასვე მოუწოდებს დამწყებ პედაგოგებს — „თუ ასეთი პასუხისმგებლობით მიუდგებით ლექცია-სემინარების ჩატარებას, მაშინ შესაძლებელი იქნება მთავარი მიზნის მიღწევა — სტუდენტთათვის ცოდნის მეცნიერული საფუძვლების ჩაყრა, სათანადო უნარ-ჩვევების გამოუმუშავება და ბუნებაში მიმდინარე პროცესების შეცნობა“. აღსანიშნავია, რომ სწორედ ამ პათოსითა და მიზნით, წარმატებით საქმიანობენ საქართველოს სხვადასხვა სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში ბატონი ზურაბის ხელმძღვანელობით დისერტაციადაცული დოქტორანტები.

ბატონი ზურაბ სეფერთელაძე წარმოშობით საქართველოს უმშვენიერესი და ძირძველი კუთხის — აჭარის წარმომადგენელია. იგი აღიზარდა არაჩვეულებრივი მშობლების პედაგოგიურ ოჯახში, სადაც მიიღო და შეისისხსორცა სიტბოს და სიკეთის ისეთი შეგრძნება, რომელსაც ასე უშურველად ახსივებს მის ირგვლივ მყოფთა მიმართ და რითაც სწორედ რომ გამორჩეულია ბატონი ზურაბი. ერთი შეხვედრაც კი საკმარისია, რომ ადამიანი დაიშთხოს მისი ამ თვისებებით, რომ-

ლიც, სამწუხაროდ, ასე გვაკლია დღეს. სტუდენტობის წლებში გამოირჩეოდა კარგი სწავლით, სანიმუშო ქცევით და არჩეული სპეციალობისადმი განსაკუთრებული ინტერესით. მან წარმატებით, ნიჭიერი დიპლომით დაამთავრა უნივერსიტეტი და იქვე, ფიზიკური გეოგრაფიის კათედრაზე „დატოვეს“ სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობისათვის მოსამზადებლად... 1984 წელს ბატონმა ზურაბმა წარმატებით დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1993 წელს — სადოქტორო დისერტაცია და დამსახურებულად მოიპოვა პროფესორის საპატიო წოდება, რომელსაც დღემდე ღირსეულად ატარებს.

პროფ. ზურაბ სეფერთელაძე გახლავთ 200-მდე სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომის ავტორი. სტატიების მნიშვნელოვანი ნაწილი დაბეჭდილია მაღალ რეიტინგულ რეფერირებად ჟურნალებში. მის კალამს ეკუთვნის ისეთი ღირებული და ფუნდამენტური მონოგრაფიები, როგორცაა: „ფიზიკურ-გეოგრაფიული დარაიონება და ლანდშაფტურ-ეკოლოგიური პრობლემები“, „თბილისისა და მისი შემოგარენის ბუნებრივი გარემოს ტრანსფორმაცია“, „Антропогенная трансформация природной среды Южного Кавказа“ და სხვ. მათში განხილულია თანამედროვეობის ისეთი პრობლემური საკითხები, როგორცაა ფიზიკურ-გეოგრაფიული ზონირება, ბუნებათსარგებლობის გეოგრაფიული და ლანდშაფტურ-ეკოლოგიური პრობლემები რეგიონულ თუ გლობალურ დონეზე. მას ასევე გამოცემული აქვს რამდენიმე სახელმძღვანელო უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთათვის (თანაავტორებთან ერთად) — „ანთროპოგენური ლანდშაფტები“, „საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია“, „ბუნებათსარგებლობის გეოგრაფია“, „მსოფლიოს ფიზიკური გეოგრაფია“, „გეოგრაფია ეკოლოგიისათვის“, „ლანდშაფტმცოდნეობა და ლანდშაფტურ-ეკოლოგიური პრობლემები“ და სხვ. ეს სახელმძღვანელოები წარმატებით გამოიყენება გეოგრაფიული მეცნიერების ყველა სფეროში და დიდ დახმარებას უწევს სტუდენტებსა და თანამედროვე გეოგრაფიის პრობლემური საკითხებით დაინტერესებულ ახალგაზრდა სპეციალისტებს.



ბატონ ზურაბს უდიდესი წვლილი მიუძღვის სასკოლო გეოგრაფიული ცოდნის განვითარებაში. იგი ავტორია არაერთი სასკოლო და მეთოდური სახელმძღვანელოებისა გეოგრაფიაში, რომელსაც წარმატებით იყენებენ ქართულ ეროვნულ სკოლებში მომავალი თაობის მიერ ბუნების შეცნობის, მის მიმართ სწორი დამოკიდებულების ჩამოყალიბებასა და ეკოკულტურის განვითარებაში. ნაყოფიერი და ღრმა სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას ბატონი ზურაბი წარმატებით უზამებს საზოგადოებრივ საქმიანობას. სხვადასხვა დროს იყო ფაკულტეტის დეკანის მოადგილე (2003-2006 წ.წ.), ფიზიკური გეოგრაფიის კათედრის გამგე, მიმართულების ხელმძღვანელი და ამჟამადაც წარმატებით ასრულებს ბუნებათსარგებლობის გეოგრაფიის კათედრის ხელმძღვანელის მოვალეობას გეოგრაფიის დეპარტამენტში. ასევე აღსანიშნავია, რომ ზურაბ სეფერთელაძე, პროფ. დავით უკლებას გარდაცვალების შემდგომ, რამდენიმე წლის განმავლობაში (2000-2006 წ.წ.), საუნივერსიტეტო საქმიანობასთან შეთანხმებით, ხელმძღვანელობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გეოგრაფიის ინსტიტუტის ერთ-ერთ წარმატებულ ფიზიკური გეოგრაფიის განყოფილებას. ნაყოფიერი სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობისათვის მიღე-

ბული აქვს პრეზიდენტის მადლობა და ღირსების ორდენი.

ბატონი ზურაბი, ასევე, არის საქართველოს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აკადემიის წევრი, თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს წევრი, სადისერტაციო საბჭოს წევრი, სამაგისტრო კომისიის თავმჯდომარე, მაგისტრების „მისაღები გამოცდა სპეციალობაში“ თავმჯდომარე და სხვ.

ასეთი ხანგრძლივი და მრავალფეროვანი საქმიანობისას, ბუნებრივია, იგი როგორც პედაგოგი და ხელმძღვანელი სწორად აწყდება სხვადასხვა ყოფით თუ პროფესიონალურ პრობლემებს, მაგრამ ბატონი ზურაბი თავისი ჩვეული იუმორითა და კეთილშობილებით ყოველთვის „მშვიდობიანად“ და უმტიკინეულოდ აგვარებს ყველა საჭირობოროტო საკითხს, დიდი ავტორიტეტისა და სანდომიანობის გამო. ამიტომაც, არის პროფ. ზურაბ სეფერთელაძე სტუდენტთა საყვარელი ლექტორი, თანამშრომელთა ერთგული და საიმედო კოლეგა.

ბატონი ზურაბის სიცოცხლისა და მოღვაწეობის ყოველი დღე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში იწყება და მთავრდება სტუდენტებთან დაუღალავი მუშაობით, კოლეგებთან შეხვედრითა და მათთვის კეთილი და ჯანსაღი განწყობის შექმნით და, რა თქმა უნდა, ფიქრებით მის ლამაზ ოჯახზე, განსაკუთრებით შორეულ ამერიკაში მცხოვრებ შვილსა და შვილიშვილებზე.

ვუსურვებ ბატონ ზურაბს დღეგრძელობა, მხნეობა და ჯანმრთელობა, რათა დიდხანს და დიდხანს ეიმედებოდეს მის საყვარელ ოჯახს, კვლავ ასე ერთგულად და ღირსეულად ემსახუროს მის სათაყვანებელ სამშობლოს და საამაყო დედა უნივერსიტეტს.

**ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი,**

**გეოგრაფიის დეპარტამენტი,**

**ბუნებათსარგებლობის გეოგრაფიის კათედრა**

# თსუ-ის საქართველოს გეოგრაფიის ათეოდრა 20 წლისაა

1998 წლის 29 ივნისს, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს გადაწყვეტილებით, დაარსდა საქართველოს გეოგრაფიის კათედრა. მისი შექმნის ინიციატორი და პირველი გამგეა პროფ. ნოდარ ელიზბარაშვილი. კათედრის დამფუძნებლები ასევე არიან: იმ-ჟამინდელი გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის დეკანი, პროფ. ოთარ ხმალაძე, პროფ. ლია მაჭავარიანი, პროფ. დალი ნიკოლაიშვილი, მეცნიერ-მუშაკი მიხეილ ხავთასი, დოცენტი ნელი ჯამასპაშვილი და გეოგრაფიის მუხუშუმის გამგე ნანა მჭავია. მოგვიანებით საქართველოს გეოგრაფიის კათედრის წევრები გახდნენ ასოც. პროფ. გიორგი მელაძე, დოცენტი მანანა რატიანი, დოცენტი გია სოფაძე, დოცენტი გამარლი დონაძე, დოცენტი თენგიზ დეკანოიძე, მეცნიერ-მუშაკი ჯემალ ძაძუა, ნია პატარიძე, ნათია კოკია და ირაკლი ესაკია. მომდევნო 8 წლის მანძილზე ანუ 2006 წლამდე კათედრის აკადემიური პერსონალი საქართველოს გეოგრაფიის, როგორც საუნივერსიტეტო საგანს, თსუ-ის 21 ფაკულტეტზე კითხულობდა. 1998 წლის 11 მარტს, კათედრის დაარსების აღსანიშნავად, უნივერსიტეტის პირველი კორპუსის ეზოში დაიკრა უთხოვარი, რაც ფართოდ გაშუქდა იმდროინდელი მედია-საშუალებების მიერ.

საქართველოს გეოგრაფიის კათედრის სამეცნიერო საქმიანობა რამდენიმე ახალი მიმართულების განვითარებას უკავშირდება, რომელთა შორის აღსანიშნავია: ინტეგრაციული (საზოგადოებრივ-საბუნებისმეტყველო) გეოგრაფიის ზოგიერთი ქვედარგი (ლანდშაფტური დაგეგმარება, სამხედრო გეოგრაფია, საქართველოს ლანდშაფტთა კადასტრი, რეკონსტრუქციული გეოგრაფია, მთიანი ტერიტორიების მდგრადი განვითარება, გამოყენებითი გეოგრაფია), გეოინფორმაციული და ექსპერტული სისტემები, დემოგეოგრაფია, განათლების გეოგრაფია, გეოგრაფიული

ეკოლოგია, გეოგრაფიული კვანძების და ბარიერების კონცეფცია, გეოეკოლოგიური კორიდორების მეთოდოლოგია, დაცული ტერიტორიების, ისტორიული ლანდშაფტების, საქალაქო აგლომერაციების ლანდშაფტური დაგეგმარების მეთოდოლოგია და სხვ.

განვიღო წლებში, კათედრის თანამშრომელთა მიერ ქართულ ენაზე პირველად გამოიცა უმაღლესი სკოლის რამდენიმე (საქართველოს გეოგრაფია, გეოგრაფიის საფუძვლები, გამოყენებითი გეოგრაფიის საფუძვლები, მთიანი ტერიტორიების მდგრადი განვითარება და რესურსების მართვა) საშუალო სკოლის ათეულზე მეტი სახელმძღვანელო და ორ ათეულამდე მონოგრაფია, კერძოდ: ლანდშაფტური დაგეგმარება (მეთოდოლოგია და გამოცდილება), საქართველოს სამხედრო გეოგრაფია, გეოეკოლოგიის ხუთენოვანი განმარტებითი ლექსიკონი, გეოინფორმაციული და ექსპერტული სისტემები, საქართველოს ლანდშაფტების სივრცე-დროითი ანალიზი, საქართველოს დემოგრაფიული გამოწვევები, საქართველო და გლობალური დემოგრაფიული პროცესები, ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიების ლანდშაფტური დაგეგმარება, ლანდშაფტური დაგეგმარების გეოეკოლოგიური საფუძვლები, მცხეთის ისტორიული ლანდშაფტის დაგეგმარება, საქალაქო აგლომერაციების ლანდშაფტური დაგეგმარების მეთოდოლოგია, Ландшафтное планирование для стран Южного Кавказа, Piloting Landscape Planning in the Countries of the Southern Caucasus, Landscape Planning of The Javakheti Protected Areas, 100 Sights of Georgia და სხვ.

განვიღო 20 წლის მანძილზე კათედრის თანამშრომლების მიერ დაცულია 5 დისერტაცია. 2002-2017 წლებში კათედრის ძალისხმევით გამოიცემოდა სამეცნიერო ჟურნალი „საქართველოს გეოგრაფია“, სადაც სტატიები იბეჭდებოდა ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე. 2018 წლიდან ჟურნალი ინტეგრირდა საუნივერსიტეტო ინტერდისციპლინურ გამო-



საქართველოს გეოგრაფიის კათედრის თანამშრომლები, 2003 წელი

ცემაში „გარემო და საზოგადოება“, რომლის მომზადებაში მონაწილეობს ზუსტ და საბუნებისმეტყველო, სოციალურ და პოლიტიკურ, ეკონომიკისა და ბიზნისის ფაკულტეტების აკადემიური პერსონალი. საქართველოს გეოგრაფიის კათედრა აქტიურად თანამშრომლობდა და თანამშრომლობს ბერლინის, ბერნის და ვენის უნივერსიტეტებთან, არაერთ საერთაშორისო სამეცნიერო ორგანიზაციასთან (საერთაშორისო გეოგრაფიული კავშირი (IGU), აზიის კულტურული ლანდშაფტის ასოციაცია (ALCA), ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდი (WWF), გაეროს განვითარების პროგრამა (UNEP), Folksvagen found, UNESCO, Mountain Research Initiative, CBC, CEPF, TEEB და სხვ.). გასული წლის 13-27 მარტს თსუ-ის და საერთაშორისო პროექტის (SCOPE5) — „მთიანი ტერიტორიების მდგრადი განვითარება“ თანადაფინანსებით კათედრის სამაგისტრო პროგრამის II კურსის სტუდენტები თეონა ქობალაია, ნათია მელაძე და სანდრო გოგოლაძე გაცვლით პრო-

გრამის (კურატორები: პროფ. ნოდარ ელიზბარაშვილი, დოქტორი პეინო მეესენი) ფარგლებში იმყოფებოდნენ ბერნის უნივერსიტეტში (შვეიცარია). მათ ამავე უნივერსიტეტის გარემოს და განვითარების ცენტრში (CDE) წარადგინეს რამდენიმე პრეზენტაცია, გაიარეს თეორიული და პრაქტიკული მომზადების კურსი.

კათედრის აკადემიური პერსონალი ხელმძღვანელობდა და მონაწილეობდა რამდენიმე ათეულ საერთაშორისო თუ ეროვნულ სამეცნიერო პროექტში, რომელთა შორის აღსანიშნავია: საქართველოს სატყეო სექტორის განვითარება (მსოფლიო ბანკი, 2001-2007 წლები), ევროპისა და პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ენერგოდაზოგვის სწავლება (SPARE, 2002-2006 წლები), ლანდშაფტური დაგეგმარება კავკასიის რეგიონში (ბერლინის უნივერსიტეტი, გერმანიის განვითარების ბანკი KfW, 2007-2009 წლები),

გზაჯალა პანიძე - 93



„მე გავიზარდე იმ ხალხის გარემოში, ვისაც თავისი თავი უნდოდა საქმისათვის და უნივერსიტეტისათვის და არა უნივერსიტეტი და საქმე თავისი თავისათვის“

ქართველი ენათმეცნიერები, რომლებიც კარიერას თავიანთ სამშობლოში იქმნიდნენ, შენატროდნენ აკადემიკოს აკაკი შანიძის ქალიშვილს — მზექალა შანიძეს. მისი ბიოგრაფია მართლაც რომ სანატრელი იყო: მას ჰქონდა საშუალება უცხოეთში ემოგზაურა, ესწავლა და ემუშავა, იქ ჰყოლოდა კოლეგები და მოკეთებები, იმ უნივერსიტეტში ხანაში ღია ყოფილიყო მისთვის დიდი ქალაქების, მათ შორის, მეტროპოლიტების არაჩვეულებრივი ბიბლიოთეკები. ერთი მხრივ, ეს დიდი ბედნიერება იყო, რადგან წინ იმთავითვე უყვარდა და ვუნდერკინდის თვისებებსაც ავლენდა, 3-4 წლისა კითხულობდა („წინა ადრე ვისწავლე — სამი თუ ოთხი წლისა ვიყავი... საბავშვო ბაღში უკვე კითხვა ვიციოდი და რაღაც-რაღაცებს ვკითხულობდი“), მეორე მხრივ, უდიდესი წყალობა იყო ისიც, რომ იგი სახელგანთქმული მეცნიერის ოჯახში იზრდებოდა, სადაც, როგორც იტყვიან, კედლებიც კი სამეცნიერო ენით მეტყველებდნენ, მაგრამ არსებობდა „მესამე მხარეც“ — დიდი მამის შვილობილი უფრო მძიმე ტვირთი იყო, ვიდრე შეღავათი და შვება, რაზედაც სხვები კრინტსაც არ ძრავდნენ. ვინც ოჯახს ახლოს იცნობდა, უადგილო კითხვები და უმართებულო შეფასებები ვერ გაუზრდებოდა, რადგან ყველასათვის ნათელი იყო, რომ იქ საბავშვებს ზნეუთილად, გამრჯე ადამიანებად

ზრდიდნენ, მათი ერთადერთი უპირატესობა, სხვა თანატოლებთან შედარებით, ის გახლდათ, რომ საკუთარი ასაკისათვის შეუფერებლად ნაკითხები იყვნენ, თუმცა ქალბატონი მზექალა ამასაც სახლში არსებულ წიგნებს უფრო უკავშირდებოდა, ვიდრე უშუალოდ მშობლების დახმარებას, რადგან მას, სულ პატარას, წერა-კითხვაც კი თავისით უსწავლია. „მამაჩემს ჩვენთვის დიდად არ ეცალა. შინ თუ იყო, იჯდა მაგიდასთან და მუშაობდა“, — ასე იხსენებს იგი ბავშვობის წლებს. მშობლები არც მის არჩევანში ჩარეულან. მისივე სიტყვებით, ფრიადოსან მზექალა შანიძეს მათემატიკაც ემარჯვებოდა, ბიოლოგიასაც სურდა და იურისპუდენციაც აინტერესებდა, მაგრამ ბოლოს მაინც აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი აირჩია. სწორედ ამ დროიდან გაჩნდა უსამართლოდ მის ცხოვრებაში სახელგანთქმული მამის ჩრდილქვეშ ყოფნის თემა, რაზედაც ქალბატონმა მზექალამ თავის ერთ-ერთ ბოლო ინტერვიუშიც ისაუბრა: „ყოველთვის ვდაობდი ამაზე და ვამბობდი, ყოველი ადამიანი არის თვითონ პიროვნება, უნდა შეეცადოს, რომ არავის ჩრდილში არ მოხვდეს... (მამა) არასოდეს მეხმარებოდა რამის დაწერაში. ვიცი, არსებობს აზრი, რომ ნახევარი, რაც დამინერია და გამიკეთებია, მისი დახმარებით იყო. ეს ასე არ არის“. მამა მას არც სამსახურის დაწყებაში არ დახმარებია. 1948 წელს დაამთავრა თსუ-ის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი, ასპირანტურაში სწავლის დროს (ხელმძღვანელი გიორგი წერეთელი) მივლინებული იყო ლენინგრადში (ახლანდელ სანქტ-პეტერბურგში), სადაც მას საკუთარ ცოდნასა და გამოცდილებას უზიარებდნენ ისეთი გამოჩენილი აღმოსავლეთმცოდნეები, როგორც გახლდათ ცნობილი არაბისტი, აკადემიკოსი ე. კრაჩკოვსკი. მზექალა შანიძემ 1951 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია

„ფარინგალური ბგერები ძველ ებრაულ ენაში“. სამეცნიერო ხარისხის მინიჭების შემდეგ ერთი წელი მას სამსახური არ ჰქონია. მზექალა შანიძე ამასთან დაკავშირებით იხსენებს: „მამაჩემმა მითხრა სწორედ: — შენ არ იფიქრო, რომ მე შენი სამსახურის გულისთვის სადმე წავიდე და ვინმეს ვთხოვო“. ქალბატონი მზექალას პირველი სამსახური იყო საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილება, სადაც იგი 1953 წელს მისმა მასწავლებელმა ილია აბულაძემ მიიყვანა მეცნიერ-თანამშრომლად. სადოქტორო დისერტაციის თემა დაულაღავ შრომას მოითხოვდა, მაგრამ მასზე მუშაობას სიამოვნებაც ახლდა და იმის შეგრძნებაც თან სდევდა, რომ იგი კეთილად დაგვირგვინდებოდა. ასეც მოხდა: 1974 წელს ქალბატონმა მზექალამ წარმატებით მოიპოვა საძიებელი ხარისხი სადოქტორო დისერტაციით — „ფსალმუნთა ნიგნის ძველი ქართული თარგმანები“ (ნიგნად გამოიცა 1979 წელს). ნაშრომი განსაკუთრებული სიყვარულითა და, შეიძლება ითქვას, მოწონებით შეიქმნა. ერთი, რომ საკვლევ მასალას ძველი ქართული ლექსიკა (ავტორისათვის გამორჩეულად საყვარელი დარგი) წარმოადგენდა და მეორე, ფსალმუნთა პოეზიაც ესალბუნებოდა მის პოეტურ სულსა და გონებას. მზექალა შანიძე ავტორია 150-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომისა (ცალკეული შრომები დაიბეჭდა გერმანიაში, საფრანგეთში, ბელგიაში, რუსეთსა და საბერძნეთში), მისი კვლევის სფერო ფართოა, იგი ფუნდამენტურობით გამორჩეული, არაერთი ენის მცოდნე მრავალმხრივი მკვლევარია (ლინგვისტი, ტექსტოლოგი, კოდიკოლოგი). „ვისაც ერთხელ ხელნაწერი აუღია ხელში, იმას ვეღარ მოსცილდება“, — ამბობს ქალბატონი მზექალა და 93 წლისა კვლავ ერთგულად განაგრძობს

ხელნაწერთა შესწავლას. მას საკუთარ საქმიანობაში ყველაზე დიდ მიღწევად „ქართლის ცხოვრების“, სახელდობრ, დავითის ისტორიკოსის ტექსტზე მუშაობა მიაჩნია, თუმცა იმ ინტერვიუში, რომელშიც ამაზე საუბრობს, თავმდაბლად იმასაც ამბობს, რომ განსაკუთრებული დამსახურებები, მიღწევები არა აქვს და დასძენს: „ისეთი ხალხის ხელში გავიარე, რომ, მართალი გითხრათ, ჩემი დამსახურება ძალიან ცოტაა. და თუ არის, არის ის, რომ ვისწავლე, რასაც მასწავლიდნენ“. ვისურვოთ, რომ დიდხანს იყოს ქალბატონი მზექალა, რომლისგანაც ბევრი, ძალიან ბევრი რამის სწავლა შეუძლიათ მის ახალგაზრდა კოლეგებს და არა მარტო მათ. ქალბატონი მზექალა მთელი საზოგადოებისათვის ქართული ენის საუკეთესო მცოდნე და მისი სინონიმის უბადლო დამცველია. მისი ავტორიტეტი იმდენად მაღალია, რომ ყოველი მოქალაქე, რომელიც ენის სინონიმის შესწავლის ფაქტს შეამჩნევს, მისკენ იყურება, მისი იმედი აქვს. მშობელი ხალხის ამგვარ დამოკიდებულებაზე დიდი ჯილდო არ არსებობს, ასეთივე დამოკიდებულების გამოხატულებაა სხვა ჯილდოები, რომლებიც მას მრავლად აქვს. ვულოცავთ ქალბატონ მზექალას დაბადების დღეს და ქაქუცა ჩოლოყაშვილის ბრწყინვალეების ორდენს, რომელიც მას 15 იანვარს კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ჩოხოსანთა დასისა და ფონდ „ქართველისაგან“ გადაუცა.

გზაჯალა შანიძე, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილების აკადემიკოს-მდივანი

„საბავშვო უნივერსიტეტი“ და ახალი ინიციატივები თსუ-ს ჰოლდინგის ფონდისთვის

თამარ ლალიანი

„თსუ საბავშვო უნივერსიტეტი“ წლების განმავლობაში მჭიდროდ თანამშრომლობს სკოლებთან და ცდილობს ხელი შეუწყოს მოსწავლეებში სწავლის, მეცნიერების, სხვადასხვა პროფესიის მიმართ ინტერესის გაღვივებას. „თსუ საბავშვო უნივერსიტეტის“ ხელმძღვანელობა სისტემატურად ეცნობა სხვადასხვა ქვეყანაში მიმდინარე სასკოლო განათლების რეფორმირების წარმატებულ მოდელებს და ჩვენს რეალობაში მათი დანერგვის შესაძლებლობებს ეძებს. „თსუ საბავშვო უნივერსიტეტის“ ეფექტური საქმიანობის შედეგია ის, რომ მისი მსმენელები დღეს უკვე აქტიურად არიან ჩართულნი უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო პროექტებში. თუ რა სიახლეებს გვთავაზობს ახალი წლიდან „თსუ საბავშვო უნივერსიტეტი“, ამის შესახებ გვესაუბრება „თსუ საბავშვო უნივერსიტეტის“ ხელმძღვანელი მარინა ლომოური:

— „საბავშვო უნივერსიტეტის“ საქმიანობით ვცდილობთ, მაქსიმალურად ბევრი მოზარდი მოვიყვანო. განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობთ ეთნიკური უმცირესობების, სოციალურად დაუცველი ჯგუფების წარმომადგენლებს. ჩვენი წარმატებული პროექტები — ლექციები მეცნიერების სხვადასხვა დარგში, ლაბორატორიული მეცადინეობები, ზამთრის და ზაფხულის თემატური სკოლები, კონფერენციები და ა.შ. მომავალშიც აუცილებლად გაგრძელდება.

მნიშვნელოვანია ის, რომ ჩვენ საქმიანობას ახალი მიდგომებით ვამდიდრებთ. გვინდა, აქცენტები ინტერდისციპლინური თემატიკის მიწოდებაზე გავაკეთოთ და ერთი ციკლის განმავლობაში 5-6 ლექცია ჩავატაროთ, სადაც სხვადასხვა სფეროდან მოწვეული პროფესორები ერთი და იგივე პრობლემას მოსწავლეებს სხვადასხვა კუთხით დაანახებენ. კვლევითი ამოცანის გადაჭრა უფრო ხშირად პრობლემის მრავალპლანიან გააზრებას და სხვადასხვა სპეციალობის მკვლევარების თანამშრომლობას მოითხოვს. საკითხის ინტერდისციპლინარული განხილვა მოზარდებში ანალიზის უნარს ავითარებს. მოსწავლემ უნდა გაიაზროს, რომ ერთი და იგივე საკითხი მოიცავს არა ერთ მიმართულებას, მას სხვადასხვა მხარე გააჩნია, რომელიც აუცილებლად გასათვალისწინებელია. სკოლაში ამ საკითხებზე ნაკლებად საუბრობენ, ვინაიდან ამის დრო მასწავლებელს არ აქვს. ჩვენ გვქონდა მცდელობა — სკოლაში ასეთი ინიციატივით შევსულიყავით, მაგრამ, სამწუხაროდ, სკოლების ადმინისტრაცია ამ საკითხით არ დაინტერესდა. ამიტომ ასეთ მიდგომებზე საუბარი მოსწავლეებთან ჩვენ დავინწყეთ. მათ უნდა დავანახოთ, რომ ნებისმიერი საკითხი ნებისმიერ სფეროში მოიცავს რამდენიმე ასპექტს, რომელსაც თუ არ გავითვალისწინებთ, საკითხის ანალიზი და დასკვნები არამართებული იქნება.

„თსუ საბავშვო უნივერსიტეტის“ კიდევ ერთი სოციალურად მნიშვნელოვანი პროექტია „თსუ დესპანი“, რომელიც წარმატებულად აგრძელებს თავის საქმიანობას ორი თვალსაზრისით: პირველი — ეს არის სარგებელი იმ სკოლისთვის, სადაც ჩვენი დესპანი მივა და მოსწავლეებს თსუ-ის შესახებ უამბობს, სტუდენტური ცხოვრებისა და პროფესიის არჩევის მნიშვნელობაზე

ესაუბრება და მეორე — ეს მნიშვნელოვანია მისი სოციალური აქტივობა, რაზე საუბრებიც ხელს უწყობს მოქალაქეობრივი პოზიციის ჩამოყალიბებას. სტუდენტები ამ საქმიანობას ყოველგვარი საფასურისა და წახალისების გარეშე ეწევიან. ასევე მნიშვნელოვანია ამ პროექტში ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლების ჩართვაც, რომლებიც მშობლიურ რეგიონებში თსუ-ის პოპულარიზაციას ეწევიან.

\*\*\* „საბავშვო უნივერსიტეტის“ კიდევ ერთ ინიციატივასა და სიახლეზე გვესაუბრება „თსუ საბავშვო უნივერსიტეტის“ პროგრამების კოორდინატორი დამიეტრა მოდებაძე:

— წელს „თსუ საბავშვო უნივერსიტეტი“ გამოაგვიტანს წლის „დესპანს“. ჩვენი დახმარებით დესპანებს ექნებათ შესაძლებლობა სკოლაში რაიმე აქტივობა განახორციელონ: ეს იქნება მოდელირება, ვიქტორინა თუ კონკურსი. ვისი პროექტიც ყველაზე საუკეთესო და წარმატებული იქნება, ის მიიღებს „წლის დესპანის“ წოდებას. შარშან ორი ასეთი დესპანი გვყავდა. იმედია, სტუდენტები წელსაც იაქტიურდებიან. ჩვენ კი მათ წავახალისებთ. ვფიქრობთ, თსუ-ის ადმინისტრაცია ამაშიც დაგვეხმარება.

აქვე მინდა ერთ საკითხსაც შევეხო. ჩვენი სოციალური რეალობა არ არის თავისუფალი სამართლებრივი დარღვევებისგან, რასაც მოზარდები და ქალები ჩადიან. ჩვენ გვინდა მათ თვითშეფასება ავუმაღლოთ და ვუთხრათ, რომ ნასამართლეობა სტიგმა არ არის, ცხოვრებისეული შეცდომის გამოსწორება მნიშვნელოვანია, მაგრამ შესაძლებელია. არასრულწლოვან პატიმრებთან და პრობაციონერებთან მუშაობა ამ მიმართულებით ძალიან მნიშვნელოვანია.



ჩვენ გადავწყვიტეთ — დავებმართოთ არა მარტო არასრულწლოვნებს, არამედ პატიმარ ქალებსაც, ვისაც შვილები ჰყავთ. ჩვენ შევხვდით პატიმარ ქალებს და მათი შვილების „თსუ საბავშვო უნივერსიტეტის“ პროგრამებში ჩართვა შევთავაზეთ.


„თსუ საბავშვო უნივერსიტეტის“ საქმიანობა წარმოადგენს ქვეყანაში არაფორმალური განათლების დანერგვისა და განვითარების ჩვენეულ ფორმას. მიხარია, რომ სულ უფრო ფართო ხდება ჩვენი საქმიანობის მნიშვნელობის აღიარება, რაზეც მეტყველებს უცხოელი ექსპერტების შეფასებები. როგორც მათ აღნიშნეს, „თსუ საბავშვო უნივერსიტეტი“ არის სწორედ ის პროექტი, რომელიც თსუ-ის სოციალურ და სახელმწიფოებრივ ფუნქციას ეფექტურად ასორციელებს. სხვათა შორის, ევროკავშირის დირექტივებში რამდენიმე ათეული წლის წინ დაიწყო არაფორმალური განათლების მნიშვნელობის გააზრება და მისი დამკვიდრება. სადაც არის კარგი არაფორმალური განათლება, იქ განათლების სისტემაც წარმატებულია. მხოლოდ სკოლა ღირსეული, განათლებულ და კულტურულ ადამიანს ვერ აღზრდის, მნიშვნელოვანია აგრეთვე არაფორმალური განათლების მიწოდებაც.

გახსენება

# ალექსანდრე რონდელი — ქართული გეოგრაფიის უზროვნების ალასიოსი

აქლვანა ქართველი მესხიარის დახადებიდან 75 წლისთავს

**გ**ეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ალექსანდრე რონდელი 1991-1996 წლებში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობათა კათედრის გამგე იყო. 1997-2001 წლებში ეკავა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსთან არსებული საგარეო პოლიტიკის კვლევისა და ანალიზის ცენტრის დირექტორის თანამდებობა. იყო მინვეული პროფესორი ემორის უნივერსიტეტში (აშშ, 1991 წ.), 1995 წელს — მათნ პოლიოკ კოლეჯში (აშშ), 1992, 1995 და 1997 წლებში — უილიამს კოლეჯში. შექმნა და სიცოცხლის ბოლომდე იყო საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის (აშშ-ში) პრეზიდენტი.



საუბარი ვერ მოხერხდება. განვიხილავთ მხოლოდ ზოგიერთ მათგანს, რომელიც ჩვენი აზრით, მეტად ეხმიანება საქართველოს დღევანდელ მდგომარეობას. აღნიშნული საკითხები ალექსანდრე რონდელის ყურადღების ცენტრში, როგორც აღვნიშნეთ, უკვე გასული საუკუნის 90-იან წლებში მოექცა. ამ პერიოდში კი გეოგრაფიკა, როგორც ახალი მიმართულება სოციალურ მეცნიერებაში, ფორმირების საწყის სტადიაში იმყოფებოდა და ამ სფეროში მოღვაწე მეცნიერებიც თითოეულ ჩამოსათვლელი იყო (მაგალითად: ლუტვაკი, ატალი, გოლდმანი, ჯანი და სხვა). ბატონი ალექსანდრე არაერთგზის მიუთითებდა, რომ გლობალურ ეკონომიკურ სისტემაში საკუთარი „ნიშის“ მონახვას ქვეყანა (იგულისხმება გარდაამავალი ეკონომიკის მცირე ქვეყანა, რომელსაც ბატონი ალექსანდრე „პატარა ქვეყნის“ სახელით მოიხსენიებდა) თვითონ უნდა ეცადოს. ამ მიზნის მისაღწევად სტრატეგია თვითონ უნდა განსაზღვროს იმის მიუხედავად, რომ მსგავს ქვეყნებს თანამედროვე საერთაშორისო სისტემაში რიგი გეოგრაფიკული პრობლემები აქვთ. მათ შორის, ბ-ნი ალექსანდრე ასახელებდა: 1. ქვეყნის რესურსების სიმცირე (ბუნებრივი და ადამიანისუფლები); 2. დამოუკიდებელი ეკონომიკური პოლიტიკის გატარების სირთულე; 3. ეკონომიკის კოლონიური სტრუქტურის არსებობა, რომელიც გულისხმობს ცალმხრივობას და ვინც სპეციალიზაციას; 4. საქართველოს პროდუქციის გასაღებასთან დაკავშირებულ სირთულეებს (კონკურენტის გამოჩენა, ტექნოლოგიის შეცვლა, ბაზრის გაფართოება და სხვა); 5. საერთაშორისო ბაზარზე მზა სამრეწველო პროდუქციის სარგებლობად გატანის და საერთაშორისო ბაზარზე დაპყვადრების პრობლემას; 6. თანამედროვე სამრეწველო პროდუქციის საწარმოებლად საჭირო კაპიტალის, კვალიფიციური მუშახელის და თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარების დაბალ დონეს; 7. პოლიტიკური სისტემის არამდგრადობას, რაც მათ სისუსტიციო მიმზიდველობას უკარგავს; 8. სახელისუფლებო ბიუროკრატიის დაბალ აქტიურობას (ქვეყნის იმიჯისათვის ზრუნვა, მიმზიდველი საინვესტიციო კლიმატის შექმნა, საკუთარი პროდუქციისათვის უცხოური ბაზრების განმედა, ეკონომიკური ომების თავიდან აცილება ან/და მისი წარმართვის ხელოვნება და ა. შ.), ვინაიდან მსგავსი ქვეყნების პოლიტიკურ და ეკონომიკურ ელიტები გამოცდილების ნაკლებობით ხასიათდება; 9. ფართომასშტაბიანი წარმოების განვითარების შეზღუდულ შესაძლებლობას; 10. სუსტი განათლების მქონე გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნების უმეტესობა მაღალი დონის წარმოებას და ახალ ტექნოლოგიებს ვერ ქმნიან; 11. კაპიტალის ექსპორტზე დამოკიდებულების მაღალ დონეს.

სრულიად აშკარა იყო, რომ მსოფლიო პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი სახელმწიფოს ეკონომიკური ძლიერება ხდებოდა, რომელიც ფასდება არა იმით, თუ რამდენი ჯარისკაცი ჰყავს ან რამდენად დიდია სახელმწიფოს ტერი-

ტორია, არამედ ეკონომიკური ზრდის პარამეტრებით და იმ წარმატებით, რომელსაც ქვეყანა აღწევს გასაღების ბაზრებზე. ამდენად, მოხდა გეოპოლიტიკის საფუძვლების ცვლილება — საბუნებისმეტყველო გეოგრაფიამ და ტრადიციულმა დეტერმინიზმმა ძნელად, მაგრამ მაინც დაუთმო ადგილი გეოეკონომიკას. სახელმწიფოთა ძლიერება და საკუთარი მოსახლეობის კეთილდღეობა სულ უფრო მეტად ხდება დამოკიდებული საწარმოთა კონკურენტუნარიანობაზე, ვიდრე მისი ტერიტორიის ფართობსა და მოსახლეობის რაოდენობაზე; ქვეყნის შიდა ლეგიტიმაცია დამოკიდებული ხდება იმაზე, თუ რამდენად მოახერხებს ქვეყანა ფხვი აზრის გლობალურ ეკონომიკაში მიმდინარე ცვლილებებს და ა.შ. აღნიშნულთან დაკავშირებით ბ-ნი ალექსანდრე წერდა: „სახელმწიფოთა ეროვნული ინტერესების მხოლოდ სამხედრო ინტერესებამდე დაყვანა დღეისათვის უაზრობად იქცა, რადგან ეკონომიკური და სოციალური ფაქტორები ხშირად ეროვნული ინტერესების ყველაზე მნიშვნელოვან კომპონენტებს შეადგენენ... რომ პირველ პლანზე ხშირად ნაშინუელია ეკონომიკური, კეთილდღეობის, ეკოლოგიური პრობლემები, რომელთა გადალახვა სამხედრო ძალის გამოყენებით შეუძლებელია“.

მან წარმოაჩინა გარდამავალი ეკონომიკის მქონე მცირე ქვეყნების ძირითადი პრობლემები, კერძოდ, როგორც იგი მიუთითებს, არასაკმარისი კომპეტენტურობა, პოლიტიკურ ლიდერებში გეოეკონომიკური აზროვნების არქონა ხშირად გამხდარა რიგი ნაგებული ეკონომიკური ომების მიზეზი. ქვეყნების კეთილდღეობა ბევრად და დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად ქვეყანა ინტეგრირებული გლობალურ, ტექნოლოგიურ ორბიტაზე ეკონომიკაში. აღნიშნულთან დაკავშირებით მეცნიერი მიუთითებს, რომ განათლების და სამეცნიერო კვლევების უზღვევებში ნებისმიერი თანამედროვე სახელმწიფოსთვის, მისი მომავალი განვითარებისთვის, ძალიან საშიშია. ამავდროულად გარდამავალი ეკონომიკის მქონე მცირე ქვეყნების ეკონომიკური წარმატების ერთ-ერთი საწინდარი მდგრადი დემოკრატიული სახელმწიფოებრიობაა. „ჩვენში სიტყვას „ბიუროკრატია“, — წერს ბ-ნი ალექსანდრე, — უფრო უარყოფითი მნიშვნელობით იყენებენ, მაგრამ ბიუროკრატია არის სახელმწიფო მანქანა, საჯარო სამსახური. თუ ის კარგი ხარისხის არ არის და ცუდად ფუნქციონირებს, სახელმწიფო ვერ ვითარდება, რჩება ჩამორჩენილი, ღარიბი და უმწეო. კარგი ბიუროკრატიის შექმნის მთავარი პირობა კი სწორედ ეფექტიანი განათლების სისტემაა. თუ ქვეყანას ჰყავს ნამდვილი ელიტა, მაშინ ბევრად უფრო ადვილი ხდება ქვეყნის წინაშე მდგარი პრობლემების გადაჭრა და გამომწვევებთან გამკლავება. ჭეშმარიტი, უნარიანი ელიტის შექმნას არა მხოლოდ კარგი აღზრდა-განათლება, არამედ სტაბილურად და ეფექტურად მომუშავე სახელმწიფო მანქანა და სათანადო დრო ესაჭიროება. თუ ქვეყანაში ვერ გაიზარდა, ვერ ჩამოყალიბდა პასუხისმგებელი და მომზადებული ნამდვილი ელიტა, ამ ქვეყანას კარგი მომავალი ვერ ექნება. თუმცა, მსგავსი გამოცდილება სრულიად არ გააჩნიათ მოსტაბაქოთა სახელმწიფოებს. ამის ნათელი მაგალითია ის, რომ ბიუროკრატიული მართვის საბჭოთა „ტრადიციებმა“ მთავრობები და ეკონომიკა ბაზრის პრინციპებზე, ყველა მონაწილეს კონკურენტუნარიანობაზე დაფუძნებულ საერთაშორისო ეკონომიკურ სისტემაში ჩართვისას კიდევ უფრო უმწეო მდგომარეობაში ჩააყენა. მეცნიერის აზრით, ნე-ბისმიერი ქვეყნის წინვლა-განვითარება და, რა თქმა უნდა, ძლიერება დამოკიდებულია ქვეყნის მოსახლეობის ყველაზე განათლებულ, ყველაზე განვითარებულ ნაწილზე, რომელსაც ხშირად ელიტას უწოდებენ. ელიტა მოსახლეობის ის შედარებით მცირე ნაწილია, რომელიც იღებს გადაწყვეტილებებს, წარმართავს ერის ცხოვრების სხვადასხვა სფეროს,

იღებს პასუხისმგებლობას საშინაო და საგარეო პოლიტიკაზე, ეკონომიკური და სოციალური განვითარების მიზნებსა და მათი მიღწევისათვის საჭირო სტრატეგიაზე, უზრუნველყოფს თავისი ქვეყნის ეროვნულ უსაფრთხოებას და ღირსეულ ადგილს საერთაშორისო თანამეგობრობაში. თუ ქვეყანას ჰყავს ნამდვილი ელიტა, მაშინ ბევრად უფრო ადვილი ხდება ქვეყნის წინაშე მდგარი პრობლემების გადაჭრა და გამომწვევებთან გამკლავება. ჭეშმარიტი, უნარიანი ელიტის შექმნას არა მხოლოდ კარგი აღზრდა-განათლება, არამედ სტაბილურად და ეფექტურად მომუშავე სახელმწიფო მანქანა და სათანადო დრო ესაჭიროება“.

უცხო ბაზრებზე შეღწევის აუცილებლობაზე მიუთითებს ალექსანდრე რონდელი, როცა წერს: „ეკონომიკური უსაფრთხოება მაშინ მიიღწევა, თუ ქვეყანას ექნება სწორი ეკონომიკური პოლიტიკა, რაც პატარა ქვეყნისთვის, უპირველეს ყოვლისა, მდგომარეობს „საერთაშორისო ვაჭრობის სისტემაში ხელსაყრელი პოზიციების დაკავებაში“. პატარა ქვეყანა აქტიურად უნდა ვაჭრობდეს, რადგან შემოსავლიანი ექსპორტის გარეშე მას განვითარების საშუალება არ ექნება“. მართლაც, მოვლენების შემდგომმა განვითარებამ აჩვენა, რომ „სივრცის“ გეოპოლიტიკა, რომელიც უახლოეს წარსულში მსოფლიო წესრიგის არსს წარმოადგენდა, თანდათან შეიცვალა გეოეკონომიკით, რამაც კიდევ უფრო დააჩქარა სახელმწიფოთა ურთიერთდამოკიდებულების ზრდა. ურთიერთდამოკიდებულება გაიზარდა არა მხოლოდ იმის გამო, რომ გაიზარდა მსოფლიო ვაჭრობის მოცულობა და ჩამოყალიბდა მძლავრი ტრანსნაციონალური ძალები, არამედ იმიტომაც, რომ საწარმოებს გაცილებით ადვილად შეუძლიათ გადაიტანონ თავისი საქმიანობა იმ რეგიონებში, სადაც უკეთეს პირობებს სთავაზობენ. ამიტომაც, რომ თანამედროვე პოსტბიპოლარულ მსოფლიოში ბევრი გეოპოლიტიკური კონცეფციის შინაარსი შეიცვალა. გაჩნდა ტერიტორიებზე კონტროლის ახალი ფორმები, რაც გამოიხატა მარონეტული მთავრობების შექმნასა და ახალი ეკონომიკური იმპერიალიზმის ჩამოყალიბებაში. გეოეკონომიკის პრობლემებზე მომუშავე მკვლევართა უმრავლესობა თანხმდება, რომ მისი დამკვიდრება პოსტბიპოლარულ მსოფლიოში გამოიწვია გლობალიზაციის პროცესის გააქტიურებამ. სწორედ ამ პროცესმა მოახდინა მსოფლიოს ეკონომიკური და პოლიტიკური სივრცის ცვლილების სერიოზული პროვოცირება, რომელიც, თავის მხრივ, დაკავშირებულია: ქვეყნებსა და ტრანსნაციონალურ სუბიექტებს შორის აქტიურად მიმდინარე შრომის გლობალურ დანაწილებასთან; ეროვნული ეკონომიკების გასვლასთან სახელმწიფოს პოლიტიკურ საზღვრებს მიღმა, რაც, თავის მხრივ, სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკებს შორის გამოყოფს ხაზებს ასუსტებს. შედეგად ვიღებთ მოცულობას, სადაც დრო, სივრცე და ბაზარი რომელიმე სახელმწიფოს ტერიტორიასთან პირდაპირ კორელაციაში აღარაა.

ალექსანდრე რონდელი ერთ-ერთი პირველია, რომლის შრომებსაც დადებითი კონოტაცია აქვთ ტერმინ გეოეკონომიკასთან. ის ინტერესი, რომელსაც დასავლეთის ქვეყნები გეოეკონომიკის მიმართ იჩენენ, გლობალური ეკონომიკის სტრუქტურასა და მის მექანიზმებში მომხდარ ცვლილებებს უკავშირდება. მეორე მხრივ, ინტერესი გამოწვეულია ეკონომიკური ბერკეტების როლის ზრდით, სამხედროსთან შედარებით. მან ჩამოაყალიბა მათი გადაჭრის ისეთი სტრატეგია, რომელიც სრულად ეხმიანება თანამედროვე გეოეკონომიკურ პარადიგმას. მის მიერ ჩამოყალიბებული სტრატეგიული განვითარების ვექტორები საქართველოს შემთხვევაში დღესაც პრიორიტეტულია და მათი გათვალისწინება აუცილებელია ქვეყნის საგარეო ეკონომიკური სტრატეგიის შემუშავებისას.

გიორგი კვიციანი,  
ასოცირებული პროფესორი



# ალამიანური სულის ღვთაებრივი გამოვლინება

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებს შორის იშვიათი მოვლენაა მსოფლიოში ცნობილი ფიზიკოსი დიანა ვაშაყმაძე-ვერონე (1966-2011 წ.წ.), რომელიც ნონა და თამაზ ვაშაყმაძეების ქალიშვილი გახლდათ. მის არსებობაში განუყოფლად ერწყმოდა ერთმანეთს ფიზიკა, მათემატიკა, კოსმოლოგია, მუსიკა, ლინგვისტიკა, ფილოსოფია, სიმღერა, პოეზია თუ მხატვრობა...

მოკლედ მოვიყვანოთ დიანა ვაშაყმაძის მიერ მეცნიერულ ასპარეზზე მიღწეული შედეგები: მან შექმნა ელემენტარული ნაწილაკების მათემატიკური თეორია, რომელიც გამოქვეყნდა 1992 წელს და მასწავლებელი იყო უცხოელ მეცნიერთა მალაღობაში (1994 წ. *Mathematical Review*-ში რუმინელი მეცნიერის გეორგ ზეტის რეცენზიაში; 1996 წ. იაპონელი მეცნიერის აკიო კავაუჩის ნიგნში). ცნობისათვის, 2006 წელს, აკიო კავაუჩისა და ტომოკო უანაგაიმოს რედაქციით, გამოიცა სახელმძღვანელო საშუალო და უმაღლესი სკოლებისთვის და დოქტორანტიურისთვის. ამ ნიგნში გამოცემულია კვანძების სრულყოფილი თეორია, როგორც აპარატი პრაქტიკაში გამოყენებლად. რასაკვირველია, ამ ავტორების პირველნაწარმოებულ ნაშრომადგენდა დიანა ვაშაყმაძის მიერ განვითარებული კვანძების თეორია მიკროსამყაროს ამოცანებთან მიმართებით. როგორც ცნობილია, მალევე — მომდევნო პუბლიკაციებში — იგი ავითარებს და ანზოგადებს კვანძების თეორიას ასტროფიზიკის ზოგიერთი ამოცანის გადასაწყვეტად. ელემენტარული ნაწილაკების კლასიფიკაციის საკითხში კვანძების თეორიის გამოყენებლად დიანამ შექმნა მწყობრის კონცეფცია-თეორია, რომელიც ელემენტარულ ნაწილაკთა ფუნდამენტურ თვისებებს (მუხტი, სპინი, ბარიონული რიცხვი, იზოსპინი, ლუნობა და ა.შ.) უკავშირებს კვანძების ტოპოლოგიურ ინვარიანტებს. ამ კავშირების საფუძველზე მან დაამტკიცა შესაბამისობა გაუს-ბონეს ფუნდამენტურ მათემატიკურ თანაფარდობასა და ფიზიკოსების გელ-მანისა და ნიშიჯიმას

მიერ პოსტულირებულ ფორმულას შორის, რომელიც ერთმანეთს უკავშირებს ელემენტარულ ნაწილაკთა ფიზიკურ ინვარიანტებს — კვანტურ რიცხვებს (ამით დიანა ვაშაყმაძემ გელ-მან-ნიშიჯიმას ფორმულა კანონის რანგში აიყვანა). ეტაპობრივად, ამ გამოკვლევებმა ღირსეული ანარეკლი ჰპოვა საკურსო და სადიპლომო ნაშრომებში, ისევე როგორც დიანა ვაშაყმაძის გამოქვეყნებული სტატიების ციკლში. მოჰყავს რა შესაბამისობაში თეორიის შედეგები ახალ ექსპერიმენტულ ფაქტებთან ასტროფიზიკაში, დიანა ვაშაყმაძე რწმუნდება სამყაროს ტოპოლოგიური კვანტრობის მისეულ კონცეფციაში. ზემოთმოყვანილ შედეგთა გამოქვეყნების შემდეგ, 2002 წელს მიმართეს აკადემიკოს სერგეი ნოვიკოვს ნინადადებით, ყოფილიყო დიანა ვაშაყმაძის ხელმძღვანელი. მან თქვა: „ხელმძღვანელად არა. დიანამ ყველაფერი თვითონ გააკეთა; მეცნიერ-კონსულტანტობა დიდი პატივია ჩემთვის. დიანამ გაიზარა კვანძების თეორია და პირველად შექმნა ელემენტარული ნაწილაკების ფიზიკის მათემატიკური თეორია. შემდეგ მან ეს თეორია გამოიყენა ასტროფიკის ამოცანების კვლევისას“.

დიანა ვაშაყმაძე-ვერონე, გარდა იმისა, რომ თსუ-ის ფიზიკოს-თეორეტიკოსი გახლდათ, იყო ვოკალისტი, თბილისისა და ნიუ-იორკის მანჰეტენის კონსერვატორიების კურსდამთავრებული, ფულბრაიტის პრემიის ლაურეატი, გამოდრიოდა ამერიკის და ევროპის თეატრებში, მათ შორის — მილანის საოპერო თეატრ ლასკალაში. ეს გაემორჩეული მრავალმხრივობა, ასე ვთქვათ, მოცარტული უნივერსალობაა. ქართული და ბერძნული ფენომენების ფესვები (დედა ბერძნული წარმოშობისა გახლავთ) მის არსებობაში ღრმა და ძალუმი აღმოჩნდა.

უპირიანი იქნება მოვიყვანოთ შეფასება, რომელიც გამოქვეყნდა 2003 წ. ვექსლერში ვოკალისტთა ფესტივალზე ერთ-ერთ ირლანდიურ გაზეთში: „დიანა ვერონე — სოპრანო საქართველოდან — საოცარი ხმით ასრულებდა რახმანიოვს, ბრამსს, ვაგნერს, გრანადოსს და,



დიანა ვაშაყმაძე-ვერონე

ბოლოს, ბიზეს. მისი ლიბესტოდი (სიყვარულის და სიკვდილის სიმღერა ვაგნერის ოპერიდან „ტრისტანი და იზოლდა“) გამოგნებლად ჟღერდა. უდავოდ საინტერესო იქნებოდა მისი მოსმენა სრული ოპერის დადგმისას. დიანას აქვს უაღრესად ღრმა და სავე ხმა, რომელსაც მე მეცოსობრანოს უფრო მივაკუთვნებდი, ვიდრე სოპრანოს. მისი არაჩვეულებრივი ქარიზმატულობა და დიდი პიროვნულობა აუდიტორიას გადაედო. წარმოდგენა გადაიქცა საყოველთაო მხიარულებად, ბოლოს კი ყველანი სრულმა აღტაცებამ მოგვიცვა“.

უნდა გამოიყოფილიყო დიანას თანამშრომლობა ერთ-ერთ უდიდეს ტენორთან და ცნობილ მაესტროსთან კარლო ბერგონცისთან, რომელმაც დიანა მიიწვია ბუსეტოში, ვერდის აკადემიაში ერთი წლით. აქვე დიანამ გაიცნო მომავალი მეუღლე — მუსიკოსი აუგუსტო ვერონე-ზე, რომელთანაც შექმნა ვაჟი — სახელად ლეონარდო.

მეცნიერული ამოცანების ამოსხნისა და ლექსების წერის დროს დიანა ურთიერთობაშია ღმერთთან, სცენაზე კი — ღმერთთან და მუსიკასთან. მეცნიერებიდან პოეზიაზე თუ მუსიკაზე გადასვლა, ან პირიქით, მისთვის ბუნებრივი მოთხოვნა იყო. დიანას ფურცლებზე მისი მიჯრილი ხელწერით ამოწერი-

ლია საფოს ლექსები ძველბერძნულ ენაზე, იქვე კი ქ-ნ ნანა ტონიას ქართული თარგმანი. აქ გამოაშკარავდა და სრული სიმძლავრით გაიშალა დიანას მთარგმნელობითი ნიჭი — კიდევ ერთი ფენომენი. იგი 7 ენაზე საუბრობდა და წერდა, თარგმნიდა იტალიური ოპერების ტექსტებს, ფლობდა აბსოლუტურ სმენას და თავადაც წერდა ლექსებს (რამდენიმე ენაზე). საგულისხმოა, რომ ლურჯი სინათლე დომინირებს მის ლექსებში, რომლიდანაც იღვრება მშობლიური იმერეთისა და არანაკლებ მშობლიური საბერძნეთის მუსიკა:

„ლურჯი ფერი ნისლის, ფერი ზამბახების/ფერი ჩუმი სევდის, ფერი მწუნარების/ბინდში ლურჯი ფერი, იების სურნელი/თქვენთვის დნობა ნელი, შემოლილობა ბნელი/როცა სიკვდილს ელი, როგორც ხსნას და შევბას/როცა გული ნატრობს მხოლოდ მწუხარებას/როცა ცრემლი ფარავს ტკივილს და ვედრებას/როცა ენა არჩევს ტანჯულ მდუმარებას/შემიწყალე ლურჯი ფერი ცეცხლში ბნედის/სიმღერის და კვნესის მომკვდავი გედის/ფერი ვარსკვლავთ თაღის, სერაფიმთა ხმების/ფერი ზღვის და ზეცის, ნატურის ხომალდების/ფერი თქვენთა თვალთა, ფერი უკვდავების“.


და ბოლოს, ჩვენი სტუდენტების საყურადღებოდ:

გაუსის საფლავზე ბიუსტი აღმართულია ჩვიდმეტუთხა პოსტამენტზე.

ვიტოვებთ იმედს, რომ დიანა ვაშაყმაძის საფლავის ქვაზე მადლიერი შთამომავლები ამოკვეთენ კონუსს თანაბარ ნაწილებად დაყოფილი ფუძით.

დიას, ჩვენო საყვარელო ახალგაზრდებო, აღარ არის ჩვენთან დიანა ვაშაყმაძე! შეაბიჯეთ მის თავისუფალ მეცნიერულ ძიებათა სამყაროში, სამყაროში მუსიკისა და პოეზიის, აითვისეთ ის და განაგრძეთ გზა, თქვენი საკუთარი გზა...

**ანზორ გვალაისანი,**  
წერილი წარმოადგენს 2018 წელს  
ქურნალ „РУССКИЙ КЛУБ“-ში  
დაბეჭდილი სტატიის ფრაგმენტების  
თარგმანს — შესრულებულს ბატონი  
დათო აკრიანის მიერ



საქართველოში თურქოლოგიის მიმართულების ფუძემდებლის, აკადემიკოს სერგი ჯიქიას 120 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია გაიმართა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო

## ახალგაზრდობის სერგი ჯიქიას 120 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია

უნივერსიტეტში. კონფერენციაში თსუ-ის რექტორი გიორგი შარვაშიძე, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი ნანა გაფრინდაშვილი, მკვლევრები, პროფესორები სტუდენტები მონაწილეობდნენ.

სამეცნიერო კონფერენციაზე წარმოდგენილი იყო მოხსენებები; გაიმართა სერგი ჯიქიას პირადი ნივთების, ხელნაწერების, წერილების, ნიგნების, ფოტოარქივის გამოფენა; მოეწყო დოკუმენტური ფილმის „ქართული აღმოსავლეთ-მცოდნეობის პატრიარქი“ (ავტორი — ეკა ტალახაძე) დემონსტრირება.

ქართული თურქოლოგიის ფუძემდებელი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, აკადემიკოსი სერგი ჯიქია 1919 წელს ჩაირიცხა თბილისის უნივერსიტეტში სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის ისტორიის სპეციალობაზე, ხოლო მეორე კურსიდან სწავლა განაგრძო ენათმეცნიერების სპეციალობაზე. 1926 წელს აკაკი შანიძემ იგი უნივერსიტეტში და-

ტოვა თურქული ფილოლოგიის დარგში პროფესორობისთვის მოსამზადებლად. სერგი ჯიქია იყო პირველი დიალექტოლოგი, თურქულ-ქართულ ენათა ურთიერთობების პირველი მკვლევარი, თურქული წყაროთმცოდნეობის პირველი მასწავლებელი, ისტორიული დოკუმენტების პირველი კომენტატორი და გამოცემელი, თურქული ენის, ფოლკლორის, ლიტერატურის ისტორიისა და ოსმალური ენის პირველი მასწავლებელი და ამ დარგებში მომუშავე ახალგაზრდა თაობების პირველი ხელმძღვანელი; მან სახელი მოიხვეჭა საერთაშორისო თურქოლოგიაში როგორც ფაქტიურად ახალი დარგის — დევთეროლოგიის — შემქმნელად, რომელიც მნიშვნელოვან სამეცნიერო დისციპლინად ჩამოყალიბდა. ამ დისციპლინას სათავე დაუდო ს. ჯიქიას ფუნდამენტურმა სამტომიანმა გამოკვლევამ „გურჯისტანის ვილაიეთის დიდმა დაავთარმა“, რომელიც XVI საუკუნის ოსმალური ისტორიული საბუთის ანალიზს ეძღვნება. იგი საეტაპო ნაშრო-



მა ონომასტიკაში. სერგი ჯიქიამ შეადგინა პირველი „თურქული ენის ქრესტომათია“, რომელიც დღესაც წარმატებით გამოიყენება. ასევე ფასდებელია მისი ხელმძღვანელობით და მონაწილეობით შედგენილი „თურქულ-ქართული ლექსიკონი“.

ლონისძიების ორგანიზატორი იყო თსუ-ის პუბლიცისტური მეცნიერებათა ფაკულტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის თურქოლოგიის მიმართულება.

## თსუ-ის საქართველოს გეოგრაფიის ხათაღრა 20 წლისა

გა-11 გვ-დახ

საქართველოს ლანდშაფტების კადასტრი და სამხედრო-გეოგრაფიული შეფასება (რუსთაველის სამეცნიერო ფონდი, 2010-2012 წლები), დასავლეთ მცირე კავკასიონის, მტირალას, ჯავახეთის, ფშავ-ხევსურეთის, ერუშეთის, რაჭის დაცული ტერიტორიების დაგეგმარება და კვლევა (WWF, 2007-2017 წლები), მცხეთის კულტურული ლანდშაფტის კვლევა (UNESCO,

2013-2014 წლები), სასწავლო კურსის „მთიანი ტერიტორიების მდგრადი განვითარება“ მომზადება (SCOPES, 2015-2018 წლები), თბილისის მერიის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მომზადება (2016-2017 წლები), ტრანს-დისციპლინური კვლევები ტურიზმის მდგრადი განვითარებისთვის უმაღლესი განათლებაში (ავსტრიის პარტნიორობის პროგრამა, APPEAR, 2017-2020 წლები) და სხვ.

საქართველოს გეოგრაფიის კათედრის აკადემიური პერსონალი კითხულობდა და კითხულობს ისეთ სალექციო კურსებს, როგორც: საქართველოს გეოგრაფია, გეოგრაფიის საფუძვლები, საქართველო და მსოფლიო, ლანდშაფტების კადასტრი, საქართველოს და მსოფლიოს სოციალურ-ეკონომიკური გეოგრაფია, დემოგეოგრაფია, კავკასიის გეოგრაფია, გეოგრაფიული პროგნოზირება, ეკოლოგიური პრობლემების გეოგრაფია, ლანდშაფტური დაგეგმარება, გამოყენებითი გეოგრაფია, გეოინ-

ფორმაციული სისტემები და სხვ. აღსანიშნავია, რომ თითქმის ყველა საგნისთვის გამოცემულია შესაბამისი სახელმძღვანელო. ამჟამად საქართველოს გეოგრაფიის კათედრაზე ხორციელდება როგორც საბაკალავრო, ისე სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები, მზადდება ახალი სალექციო კურსები, რომლებიც შეეხება ისეთ სამეცნიერო მიმართულებებს, როგორც: სამხედრო გეოგრაფია, სამედიცინო გეოგრაფია და გარემოზე ზემოქმედების შეფასება.



# ყვალაფარი დაიწყო ვერაზე ჰაემნიდან...

## პროექტ „მხოლოდ ქართული“ ერთ-ერთი „აღმოჩენა“ – თსუ-ის სტუდენტი გუგა მარგველაშვილი მასტერ-კლასს ვენის მუსიკალურ აკადემიაში გაივლის

„ქართული სიმღერებიდან სულ სხვა მუსიკა მოდის. იგრძნობა გენები და სისხლის დუღილი. ყველა სიმღერასა და ნოტს თავისი სათქმელი მოაქვს. შეუძლებელია განსაკუთრებული ემოციის გარეშე მათი არათუ შესრულება, მოსმენაც კი“, — ასე გადმოგვცემს საკუთარ განცდებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი და პროექტ „მხოლოდ ქართული“ გამორჩეულად ნიჭიერი მონაწილე გუგა მარგველაშვილი, რომელსაც, თურმე, სიმღერა უკეთ გამოსდის, ვიდრე საკუთარ თავზე ლაპარაკი.

ბავშვობიდანვე ასეთი იყო — ჯერ სიმღერა დაიწყო და მხოლოდ შემდეგ — საუბარი. ანუ „პირველად იყო სიმღერა, გალობა მრავალხმიანი“ — და სწორედ ამ სიმღერაში იპოვა საკუთარი თავი 22 წლის გუგა მარგველაშვილი, რომელიც ოჯახის მრავალწლიან მუსიკალურ ტრადიციას მისი განმავლობაში პროექტ „მხოლოდ ქართული“ სცენიდან აცნობდა აუდიტორიას. გუგა პროექტის ფინალისტი და ერთ-ერთი გამორჩეული მონაწილე გახლდათ.

როგორც თვითონ ამბობს, ბავშვობაში დიდ ფეხბურთს თამაშობდა და საფეხბურთო კარიერაში ხედავდა მომავალს. შემდეგ, მხრის ტრავმის გამო, საყვარელ სპორტს თავი დაანება და ძალები პოლიტიკის მეცნიერებებში მოსინჯა. ბოლოს საკუთარი თავის ძიების პროცესში მუსიკასთან მიიყვანა.

რაჭულმა გენებმა აღმოაჩინა პირველი ბერები, აპოკალიფსა საკუთარი მუსიკა და შემდეგ მთელი არსებით ჩაითრია ამ სფეროში. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და კონსერვატორიის სტუდენტის მთავარი ცხოვრებისეული გამოწვევა კვლავ მუსიკაა, ამჯერად — საოპერო.

„ჩემს მუსიკალურ გემოვნებაზე გავლენა, რა თქმა უნდა, გარემომ იქონია, განსაკუთრებით რაჭულმა ბაბუამ — შაგო ჯანელიძემ. სწორედ მან აღმოაჩინა ჩემში ნიჭი, ამაღლებინა პირველი აკორდები და მეც დავრჩი იმ სივრცეში, რომლის კარებიც მაშინ ბაბუამ ამ აკორდებით გაიღო. ყოველ შაბათ-კვირას მასთან ვიკრიბებოდი ვერაზე, ბაბუა კი ხმებში სიმღერას გვასწავლიდა. არა მარტო ქართულად, ბერძნულადაც კი ვმღეროდი. ეს იყო საუკეთესო შეხვედრები, ჩვენი „პაემანი ვერაზე“, რომელსაც სულმოუთქმელად ველოდი. შემდეგ იყო ანსამბლი „ერქვანი“ კახა შაქიშვილის ხელმძღვანელობით. იქ ვმღეროდი რამდენიმე წლის მანძილზე და, შეიძლება ითქვას, ყველაზე დიდი გამოცდილებაც სწორედ იქ მივიღე“.

მუსიკალური გამოცდილების შემდეგ ჯერი განათლებაზეც მიდგა და გუგამ თავისი მომავალი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს დაუკავშირა. პოლიტიკის, დიპლომატიისა და სოციალური დისციპლინების სიყვარულმა სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პოლიტიკის მეცნიერების მიმართულებამდე მიიყვანა და, მსგავსად მუსიკისა, აქაც აპოკალიფსა საკუთარი თავი. თუმცა, მალევე გაჩნდა მთავარი გამოწვევა — დრო, რომელიც რამდენიმე საყვარელი საქმისთვის თანაბრად და სამართლიანად უნდა გაენაწილებინა.

„მუსიკა ჩემი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი ნაწილია და მის გარეშე არაფერი წარმომიდგენია... რაც თავი მახსოვს, ვმღერი. ამიტომაც ადვილი არაა, ასე აიღო და გადადო ის, რაც შეგადგენს, რაც გქმნის და გაქცევს საკუთარ თავად. ოქროს შუალედების პოვნა კი ყოველთვის არაა მარტივი“.

მიუხედავად იმისა, რომ პრიორიტეტების დალაგებას საკუთარ ძლიერ მხარედ არ თვლის, გასულ წელს ერთი პრიორიტეტი მაინც გამოყო და, შეიძლება ითქვას, სხვა დანარჩენზე მეტი მნიშვნელობა შესძინა — გუგა მარგველაშვილი თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში საოპერო ხელოვნებას ეუფლება და საკუთარ თავს, ნაცვლად პოპ-მუსიკისა, ოპერის სცენაზე, ბარიტონად ხედავს.

გუგა მარგველაშვილი მასურებელმა დიდ სცენაზე პირველად პროექტ „საქართველოს ვარსკვლავში“ ნახა — 16 წლის მომღიმარი ბიჭი, გიტარითა და სასაიმპოვნო ხმით, რომელიც პროექტში, შეიძლება ითქვას, პირდაპირ სუფრიდან, მამის მეგობრების რეკომენდაციით მივიდა.

„ჩვენს ოჯახში სულ სტუმრიანობაა, უმეტესად მამის მეგობრები მოდიან. მახსოვს, დამიძახებდა მამა, შევწყვეტი ჩემს საქმეებს და გიტარით ხელში შევუერთდებოდი მათ იდილიას. სიმართლე გითხრათ, ეს მეც მსიამოვნებდა. მათი შექებით გამხნეებული კი „საქართველოს ვარსკვლავის“ ქასტინგზე წავიდი. თუმცა, მაშინ არც ისე გამომართლა“.

მომავალი საოპერო მომღერალი პროექტ „მხოლოდ ქართული“ მონაწილეობისთვის დედას „აღანაშაულებს“. სწორედ მისი დაჟინებული თხოვნით მიიღო გუგამ შესარჩევ ტურზე მისვლის გადაწყვეტილება. დედა მისთვის არა მარტო მთავარი ბიძგი, მთავარი გულშემატკივარიც აღმოჩნდა.

„ხალხის სიყვარული იყო ის მიზეზი, რის გამოც მთელი მოწოდებით ვცდილობდი ყოველი ახალი გამოსვ-



გუგა მარგველაშვილი

ლა წინაზე უკეთესი ყოფილიყო. ყოველ ჯერზე უდიდეს ენერჯის ვილებდი მათგან და შემდეგ ამავე ენერჯის ვლებდი სიმღერაში. მინდა, ყველას მადლობა გადავუხადო ასეთი გულშემატკივრობისათვის. ჩემთვის არასდროს ჰქონია გადამწყვეტი მნიშვნელობა პრიზებსა და გამარჯვებას. ვფიქრობ, ყველაზე დიდი გამარჯვება გამოცდილება იყო და ყველაზე დიდი პრიზი — ხალხის სიყვარული. ძალიან დიდი ბარიერი გადავლახე იმ შიშისა, სცენაზე დგომა რომ ჰქვია. ერთი შეხედვით, მარტივია, გამოსვიდე და იმღერო, მაგრამ როცა მთელი საქართველო გიყურებს, ყველაფერი ერთიორად გირთულდება. ასე რომ, მთავარი მაინც გამოცდილებაა“.

ყოფილი ფეხბურთელის, თსუ-ის მოქმედი სტუდენტისა და მომავალი საოპერო მომღერლის გეგმებში ახალი გამოწვევაა — „საქართველოს ვარსკვლავის“, „მხოლოდ ქართულისა“ და სახელმწიფო კონსერვატორიის შემდეგ გუგა, Aversi Pharma-ს დაფინანსებით, მასტერ-კლასს ვენის მუსიკალურ აკადემიაში გაივლის.

**თამუნა ზარანდია, ლიანა მარქარიანი**  
თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტები



### მთავარი რედაქტორი

ნინო კაკულია

### მთავარი სამცხალისტი

მაია ტორაძე

### ტექნიკური რედაქტორი

მანანა ჯურხაძე

### წარმომადგენელი

ნატო ობოლაძე  
თამარ დადიანი  
შურთხია ბეროშვილი

### ფოტოკომპიუტერული

ანა ბოლქვაძე

### კომპ. უზრუნველყოფა

ზაზა გულაშვილი

### რედაქციის წევრები:

იაგო კაჭკაჭიშვილი,  
მანანა შამილიშვილი,  
თინათინ მარგალიტაძე,  
თინათინ ბოლქვაძე,  
ეთერ ხარაიშვილი,  
რევაზ გველესიანი,  
ირაკლი იმედაძე,  
გიორგი ჯიანი,  
თემურ ნადარეიშვილი,  
მორის შალიკაშვილი,  
მაია ივანიძე,  
ვლადიმერ მარგველაშვილი,  
გიორგი ლობჯანიძე,  
ნატა ასათიანი

### მისამართი:

ილია ჭავჭავაძის გამზ. 13  
(თსუ-ის მე-3 კორპუსი)

2 22 36 62

### ვებგვერდი:

newspaper.tsu.edu.ge

### ელ.ფოსტა:

tsunewspaper@tsu.ge



2017 წლის  
1 ოქტომბრიდან  
გადაცემა „ენი-ვერსია“  
გაღის რეგიონულ  
ტელევიზიაში, რასაც  
საქართველოს  
რეგიონულ  
მაუწყებელთა ასოციაცია  
უზრუნველყოფს (თსუ-სა  
და საქართველოს  
რეგიონულ მაუწყებელ-  
თა ასოციაციასთან  
გაფორმებული მემო-  
რანდუმის თანახმად).

